



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne@gmail.com

მაცნე

სამტრედიის

N28 (9315)

10 ოქტომბერი. 2019 წელი

ფასი 50 თეთრი

ამოგავალი გზის ქვეყნიდან გუდაგ გზიან ქალაქთან სამგობროდ

3



ჩვენ დღეს ვზეიბობთ სიბიძნეს!

6

ნიუო ეხოვნუდი ქაცი
იუო და საქვეყნო საქმეს
აქეთებდა



2

მოსახლეობა საცალფეხო
ხიდს ითხოვს

პირველი მენტორი
მასწავლებელი
სამტრედიასი!

5

ღვანდომოსილი
პედაგოგები
დაჯილდოვდნან

5



ინტეხვიუ ხმედეთზე, ვიძიე გემი
ლუზას ჩაუშვებს

10

გიორგი გახარია: “2020 წლის ბიუჯეტი მოქალაქეების საჭიროებებს მყარდება”

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია განცხადებით, 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა პენსიონერისათვის, ასევე 18 წლამდე ასაკის და პირველი და მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის 20 ლარით პენსიის ზრდა. გარდა ამისა, 1-ელი ივლისიდან 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისა და შშმ პირებისათვის დამატებით პენსიის 30 ლარით ზრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ამ ჯგუფის მოქალაქეებს პენსია გაეზრდება 50 ლარით.

პრემიერის განცხადებით, სრულ განაკვეთზე მყოფი მასწავლებლების ანაზღაურება იზრდება როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში, რაც ნიშნავს, რომ 2020 წლის სასწავლო წლისათვის მასწავლებლების ხელფასი გაიზრდება 300 ლარით.

2020 წლის სასწავლო წლისთვის საბავშვო ბაღების მასწავლებლების ხელფასი გაიზრდება საშუალოდ 100 ლარით. გარდა ამისა, გაგრძელდება ხელფასების მატება სამართალდამცავების, ჯარისკაცების და მათთან გათანაბრებული პირებისთვის და სახელმწიფო თავისი ვალდებულებების ფარგლებში ამ ჯგუფს ხელფასს გაუზრდის, მინიმუმ, 125 ლარით.

2020 წლის 1-ელი ივლისიდან ასევე გაიზრდება სოფლის ექიმების ხელფასები 100 ლარით.

“2020 წლის ბიუჯეტი არის სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობით გამსჭვალული და ეკონომიკური განვითარების ბიუჯეტი. ეს არის ბიუჯეტი ჩვენი მოქალაქეების უფრო მეტი შესაძლებლობების, ამიტომ მიგვაჩნია, რომ მოქალაქეების საჭიროებებს ყურადღება ეს ბიუჯეტი და რაც მთავარია, ითვალისწინებს ჩვენი საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფების სოციალურ ინტერესებს.” – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ.



საპრობულო მორიბი სხლომ გამართა

ლეონ გაგაჩინა

საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის გამო, 8 ოქტომბერს გამართულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური უძღვებოდა.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, საკრებულოს წევრის, ზაზა ადგიშვილის წინადადებით, წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი ბატონი გაა ყანჭელის ხსოვნას. “პლანეტარული მნიშვნელობის პიროვნება იყო. მისმა გარდაცვალებამ ყველანი გაგვაერთიანა”. – თქვა მან.

განსახილველ საკითხთა შორის ჩვენი ყურადღება ერთმა საკითხმა მიიპყრო, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისი უზრუნველყოფის წესის დამტკიცებას შეეხებოდა. ამ საკითხზე საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მანანა სირბილაძემ მოახსენა. დანარჩენ საკითხებზე კი მომხსენებელი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი გახლდათ.

ერთ-ერთ საკითხად მოისმინეს ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანალიზის შესახებ. სხდომაზე პოზიცია-ოპოზიციის შორის მწვავე პოლემიკაც შედგა.

რა სახის, რა დაუსრულებელი სამუშაოები მიმდინარეობს თამარ მეფის ქუჩაზე? ამ საკითხით საკრებულოს წევრი აეთანხმდა თაღმამე დაინტერესდა. მიუღოს დარბაზი აუცილებელ მოწესრიგებას საჭიროებს. – აღნიშნა ემზარ შუბლაძემ. მამუკა ბიბილეიშვილმა კი დასვა წინადადება, საჭიდაო კლუბ “ფალანგის” წარმატებული მწვრთნელ-მასწავლებლები და სპორტსმენები რამდენადმე მაინც წაახალისონ შემდგომი მოტივაციისათვის.

ოპოზიციის მხრიდან დაისვა რიგი



სხვა საკითხი, რომელთა შესახებაც სხდომაზე მოწვეულმა მერიის სამსახურების ხელმძღვანელებმა და წარმომადგენლებმა პასუხები გასცეს.

ქალაქის ტერიტორიაზე მანქანულა ძაღლების მიერ მოსახლეობისათვის შექმნილ პრობლემებზე საკრებულოს წევრმა აკაკი მინაშვილმა გა-

ამახვილა ყურადღება. საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.



მოსახლეობა საცალფეხო ხიდს ითხოვს

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია ადგილობრივ მოსახლეობას 3 ოქტომბერს მდინარე ხევისწყალს მარჯვენა სანაპიროზე შეხვდა.

წარსულში საცალფეხო ხიდი კონსტრუქციის უბანს გურიის სამ სოფელთან აკავშირებდა. სიძველის გამო ხიდი დაინგრა და მოსახლეობა გადმა კუთხეში გასვლას მდინარეში ფეხით გავლით ახდენს. ხევისწყალს ადიდების შემთხვევაში ადგილობრივები იძულებულნი არიან, გზა დაიგრძელონ.

გორმალის მოსახლეობამ ხიდის აშენების მოთხოვნით მუნიციპალიტეტის მერს რამდენჯერმე მიმართა. ბოლოს საკითხი გუბერნატორის სტუმრობის დროს ხელახლა წამოიწია. წელს აღნიშნული პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა არ არსებობს. ვალერიანე ფოცხვერია ადგილობრივებს მომავალი წლისთვის პროექტის შესყიდვას დაჰპირდა.

6067 ნახტავი

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მუდმივად მერის ყურადღების ცენტრშია

მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან ერთად, ყოველკვირეულ რეჟიმში აგრძელებს საკონსულტაციო შეხვედრებს სოფლებში მერის წარმომადგენლებსა და იმ სამშენებლო ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ.

შეხვედრა მერმა თამარ მეფის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მშენებლობის თემით დაიწყო და განაცხადა: “მოსახლეობა უკმაყოფილოა, ან კონტრაქტი შეწყვიტოთ, ან თავიდან გამოცხადდება ტენდერი. მე არ უნდა მიხდებოდეს საყვედურების თქმა. ზედამხედველობის სამსახურს მეტი მობილიზება ჰპირდები.”

ზურაბ გოგია შეკრებილთ მიაწოდა ინფორმაცია, რომ “ასფალტობეტონის ყველა სამუშაო გეგმა-გრანტის დაცვით დასრულებულია, გეგმიურად მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერი პროგრამები.”

ჩვენს მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების და ხიდ-ბოგირების აღდგენის პროექტებიც ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსებით, შეხვედრაზე ამ საკითხზეც ისაუბრეს. მერის თქმით, ათეული წლებია, არ ჩატარებულა ის სამუშაოები გომის თემში, რაც წლეულს ჩატარდა. გომის საჯარო სკოლაში მალე მოგვარდება წყლის პრობლემა.”

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარე ტარიელ დვალიშვილმა მშენებლებს მიმართა, რომ მას უკვე არაერთხელ მოუხდა მოსახლეობის თხოვნის გახმოვანება თამარ მეფის ქუჩაზე სტადიონის მშენებლობის დაჩქარების თაობაზე. მან მიიღო პასუხი, რომ საკითხი უახლოეს ხანში დადებითად გადაწყდება.

საინფორმაციო



ამოავალი გზის ქვეყნიდან გულა გზიან ქალაქთან სამეგობროდ

თბილისი

საქართველო სამტრედიიდან გაიცივნეს. აეროპორტიდან პირდაპირ ამ ქალაქში ჩამოიყვანა ისინი მათმა ქართველმა მეგობარმა. მულამ-ზიან სამტრედიას, როგორც მას საქართველოში უძღვრიან, ამომავალი მზის ქვეყნიდან ესტუმრნენ. სტუმრობა მხოლოდ სტუმრობას არ ნიშნავდა, იაპონიის ქალაქ მიტოიოს სამტრედიასთან დასამეგობრებლად ჩამოვიდა ამ ქალაქის მერის თანაშემწე მის თანხლებზე პირებთან ერთად.

თუმცა, ამ კეთილშობილო იდეასა და ორი ქალაქის წარმომადგენლების შეხვედრას 20 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. როგორ? აი ასე, ჩვეულებრივად! 20 წლის წინაც ყველაფერი მეგობრობით დაიწყო. მეგობრობით და ქართველი ვიოლიონჩელისტი, ვია ხეოშვილის იაპონიის ქალაქ მიტოიოში მოღვაწეობით. იგი ცნობილი მუსიკოსი გახლდათ. ვარდა პროფესიონალიზმისა, იქაურებს თავი ქართული მზიანი გულითაც შეაყვარა და დაამახსოვრა. როგორც მისი ვაჟი, გურამ ხეოშვილი გვიყვება, და-

ოციატია არ დაშლილა, პირიქით. დამარსებებს კი მადლიერების ნიშნად ერთი წლის წინ მეგლი დაუდგეს და მისი სახელობის მემორიალთან მისივე გარდაცვალების დღეს ყოველწლიურად იკრიბებიან.

ბუნებრივია, “მეგობრობას” მეგობრობის სურვილი არ გაქრობდა. საქართველოს რომელიმე ქალაქთან დამეგობრება გადაწყვიტეს და სამეგობროდ სამტრედიას შეირჩა. ეს სხვა ისტორია არ არის, მაგრამ იმ ძველის გაგრძელება ნამდვილად გახლავთ ახალი სიცოცხლით. ამ ისტორიაში, ამიერიდან რომ უნდა დაიწეროს, უკვე ვია ხეოშვილის ვაჟი და მისი ოჯახია მთავარი მოქმედი პირი. გურამ ხეოშვილი, სახელოვანი მამის შვილი, იმ დღეუკაცის მთავარი ფიგურა გახლდათ. რა თქმა უნდა, თარჯიმნის ფუნქციასაც იგი ასრულებდა და დამეგობრების იდეაც მისგან მოდიოდა. ესეც ერთგვარი საჩუქარია მისგან, რომლის სათავეც შეიძლება ითქვას, რომ სიყვარულია.

გურამ ხეოშვილი, როგორც თავად ამბობს, სამტრედიის ოცი წლის სიძეა და მეუღლის მშობლიური კუთხე ძალიან უყვარს. ეკა ჯვარშიშვილის, მისი მეუღლის მშობლები წარმოშობით სამტრედიელები არიან. წინაპრების სახლი ახლაც აქვთ სოფელ იანეთში, რომელსაც ხშირად, უფრო სწორად, თითქმის ყოველ ზაფხულს სტუმრობენ. ამ ყველაფერს ეკა ჯვარშიშვილი გვიყვება და დასძენს: “საოცარი განცდა მაქვს ახლა. ეს დღეუკაცია, სამტრედიასთან დასამეგობრებლად ჩამოსული, ძალიან მშრომელი და მოსიყვარულე ადამიანებისგან



რს გაგაცანით ეს იდეა. ისიც დაგვთანხმდა და დღეს უკვე აქ ვართ”.

ეკა ჯვარშიშვილის წერტილოვანი მასაჟი, რომელსაც იაპონელები “სეიტაის” ეძახიან, მიტოიოში იმ დღეუკაცის წევრმა, ექიმმა იასუჰარო კობაიამა შეასწავლა, რომელიც 40 წელია, ამ საქმეს ემსახურება და ფაქტობრივად ყოველგვარ ოპერაციასა და წამალს გამოირიცხავს. იაპონიაში მასაჟი ეროვნული კულტურისა და თვითმყოფადობის დონეზე რომ ჰყავთ აყვანილი, ეს საქართველოშიც ბევრს კარგად მოეხსენება.

ერთი სიტყვით, შეხვედრა შემდგომ მეგობრობაზე სასაუბროდ, მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას კაბინეტში შედგა. შეხვედრაზე, რომელსაც მერის მოადგილე დავით ბახტაძე და სხვა პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ, სამტრედიასა და მის წარსულზე, ქალაქის დაარსების ისტორიაზე ესაუბრნენ დღეუკაცის წევრებს. სტუმრებმა იაპონური და უშუალოდ მათი



ახლოებით 25 წლის წინ, მანვე შექმნა ასოციაცია “მეგობარი”, რომელშიც დღეს მისი მეგობრები და კიდევ სხვა, სულ სამასამდე იაპონელია გაერთიანებული. ვია ხეოშვილის გარდაცვალების შემდეგ ას-

შედგება. ზოგადად ასეთები არიან იაპონელები და მიტოიოელები. ეს ქალაქი კუნძულ სიკოკუზე მდებარეობს. იქ რომ ჩავიდა, თავი იმერეთში მეგონა, იმდენად თბილები და ღიმილიანები არიან. ჩემი მამამთილიდან დაწყებული მეგობრობა დღემდე გრძელდება. დასამეგობრებლად სამტრედიას ჩვეულებრივად, ჯერ კიდევ შარშან თქვენი მუნიციპალიტეტის მე-

ქალაქის კულტურისათვის დამახასიათებელი საჩუქრები გადასცეს მასპინძლებს, რითაც, ფაქტობრივად, მოკლედ გააცნეს ქალაქი მიტოიო. “საქართველოში პირველად ვარ და შეგრძნება მაქვს, რომ იაპონიასთან ძალიან ახლოს ვარ. და ეს იმიტომ, რომ აქაც ისეთივე თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს, როგორც ჩვენთან. ვფიქრობ, რომ

კიდევ უფრო ღრმად გავიცნობ თქვენს ქვეყანას და თქვენს ქალაქს. ამის სურვილი აქ სტუმრობის მეურე გამიჩნდა. ყველაფერს გააკეთებ იმისთვის, რომ მიტოიო და სამტრედიას მეგობარი ქალაქები გახდნენ და ამ მეგობრობამ ორივე მათგანს სარგებელი მოუტანოს.” – ეს სიტყვები მიტოიოს მერის მთავარ მრჩევლს, შირინაგას ეკუთვნის.

“გურამ ხეოშვილი დამეგობრდა და მისი იდეა გამაძნო. ეს ძალიან საინტერესო გახლდათ ჩვენითვის. ამ შემთხვევითიდან გარკვეული დროის შემდეგ, ხედავთ, რომ იაპონიის დღეუკაცია ჩვენს ქალაქს სტუმრობს. ვიმედოვნებ, შემდგომი ურთიერთობები უფრო მეგობრული, იმავდროულად საქმიანი იქნება და სარგებელს მოუტანს ორივე ქალაქს.” – აღნიშნა სამტრედიის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

მერის მოადგილე დავით ბახტაძე სტუმრებს დაწვრილებით ესაუბრა სამტრედიისთვის მნიშვნელოვანი ობიექტის, ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის პერსპექტივებზე, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. ყოფილი კურორტის ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ სტუმრები ძალიან დაინტერესდნენ მიწიდან ამომავალი გოგირდოვანი წყლით, რომელსაც არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებები აქვს.

სასიამოვნო დამთხვევა გახლდათ ის, რომ ამომავალი მზის ქვეყნიდან იაპონიიდან ჩამოსულების სტუმრობა სამტრედიას “ნიოობის” სახალხო დღესასწაულს დაემთხვა. ისინი დიდ ჯიხაბში ქართველი საზოგადო მოღვაწის, ევრო-

პულად მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის მამულში გამართულ ღონისძიებას შეუერთდნენ.

და აქვე! სამტრედიელებს უნდა ახსოვდეთ, რომ სხვადასხვა დროს სამტრედიას ქალაქი ცინცინატს ამერიკაში, ლოდის ისრაელში და 5 ქალაქს – ღობროპოლიე, კიროვსკაია, ღონეცკი, გორლოვკა და ენეკოევი – უკრაინაში დაუპყვეობრდა. თუმცა შემდეგ სამეგობრო ურთიერთობები ნაკლებად კი არა, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ გაგრძელებულა. იმედია, თუკი შედგა, თუნდაც, იაპონელების ცხოვრების წესიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე, სამტრედიას-მიტოიოს მეგობრობას მსგავსი გაგრძელება არ ექნება.

ამომავალი მზის ქვეყნიდან მულამ მზიან სამტრედიასთან სამეგობროდ ჩამოსული იაპონელები აღფრთოვანებულნი გახლდნენ საქართველოში. მით უმეტეს, რომ მათ ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, სამტრედიით გაიცნეს. პირველი სიტყვები, რაც ქართულად ვისწავლეთ “გამარჯობა” და “ძალიან გემრიელია”, არისო, ამბობდნენ ისინი. მათ ყველაფერი მიეწონათ ქართული – ცეკვა, სიმღერა და სამზარეულო. ქართულ სტუმართმოყვარეობასა და სამზარეულოზე კი ისევე საუბრობდნენ, როგორც ყველა ის უცხოელი, ქართული ხედებით, ბუნებით და სამზარეულოთი რომ იხიბლებს. ახლა ჯერი ისევ 25 წლის წინ დაფუძნებულ “მეგობრობაზე”, იმ ასოციაციაზე, მეგობრობამ რომ დააფუძნა და მეგობრობის იდეა ამჯერადაც თავად რომ ეკუთვნის.

AIPCE-ის კონფერენცია ფულს პირველად ჩატარდა თბილისში

თბილისში ევროპის დამოუკიდებელი პრესის საბჭოების ალიანსის ყოველწლიური კონფერენცია გაიხსნა. სასტუმრო შერატონ გრანდ მეტეხი პალასში AIPCE-ის კონფერენცია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართული ორგანიზაციებისა და ევროპის საბჭოს დახმარებით ტარდება. წინასწარი შერჩევით ევროპის დამოუკიდებელი პრესის საბჭოების ალიანსის კონფერენცია ყოველწლიურად დასავლეთ ევროპის რომელიმე დედაქალაქში იმართება. წელს კი პირველად აღმოსავლეთ ევროპაში ჩატარდა. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართული ორგანიზაციის და აქტიური ჩართულობით 2019 წლის კონფერენციის ჩატარების ადგილად თბილისი შეირჩა.

კონფერენციაზე, რომელიც 3 ოქტომბერს გაიხსნა, სიტყვით გამოვიდნენ ნატა ძველიშვილი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართული ორგანიზაციის დირექტორი; კრისტინა ურსე, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი; ელინა გრუნშტორმი, ფინეთის მასმედიის საბჭოს თავმჯდომარე; კატერინა ნიკოლაუ, საბერძნეთის მედია საჩივრების კომისიის თავმჯდომარე.

კონფერენცია 20-ზე მეტი ევროპული ქვეყნის თვითრეგულირების ორგანოს წარმომადგენელს, პრესის ომბუდსმენებს და მედია ექსპერტებს აერთიანებს.

კონფერენციის პანელურ სხდომებზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა მედია ციფრული პლატფორმების, მათ შორის სოციალური ქსელების ეპოქაში ხელოვნური ინტელექტით მართული ჟურნალისტთა და ავტომატოზაციის გავლენა მედიაზე; თანამედროვე მედიის შემოსულები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

გარდა ამისა, ცალკეულ სამუშაო ჯგუფებში იმსჯელებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება; ბოტებისა და ტროლების კომენტარები მედიაკონტენტთან მიმართებით; პლაგიატიზმი და ციტირება.

კონფერენცია ევროპის საბჭოს პროექტის “მედიისა და ინტერნეტის თავისუფლების ხელშეწყობა საქართველოში” მხარდაჭერით ჩატარდა.

AIPCE-ის კონფერენცია 3 ოქტომბერს დღის განმავლობაში და 4 ოქტომბერს დღის პირველ ნახევარში და იყო პრესისთვის. ცნობისათვის, AIPCE 1999 წელს დაარსდა და 34 ევროპული ქვეყნის მედია თვითრეგულირების ორგანოს აერთიანებს. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართული ორგანიზაციის 2011 წელს შეუერთდა, ხოლო 2018 წელს ფინეთისა და კვიპროსის თვითრეგულირების ორგანიზაციებთან ერთად მმართველი საბჭოს წევრი გახდა.

6060 ნახტავი
საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართული ორგანიზაცია

ცყვიით ნაწიერი ისტორიის

ლეონ ბაბინაძე

27 სექტემბერი, ჯვართამაღლება, სოხუმის დაცემის დღე. კიდევ ერთ ლამაზ ღონისძიებაზე მიგვიწვია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ტატა გოგუაძე) მოსწავლეთა პარლამენტი. სოხუმის დაცემის 26-ე წლისთავს მიეძღვნა საღამო.



ამაში ღონისძიების მიმდინარეობისას.

დარბაზს სულისშემძვრელი პანგები ეფინება. ახალგაზრდებმა ზედმიწევნით სიზუსტით, არგუმენტირებულად ისაუბრეს იმ ეკლესია-მონასტრების, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების შესახებ, რომლებზედაც გარემოებათა გამო, დროებით საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია ვერ ხორციელდება. შეგვახსენეს ქართულ-აფხაზეთი მეგობრობის, სტუმართმოყვარეობის გაუხუხარი მაგალითები, ისაუბრეს საქართველოს ამ თვალწარმატები კუთხის ფლორასა და ფაუნაზე, რეგიონის ისტორიაზე, სინანული გამოთქვეს 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემისა და საერთოდ 13 თვინი და 13 დღიანი ომის საშინელებებზე, მამულს ომანიანად, ეჭვშეუვალად შეჭვიცეს სიყვარული. მზაობა გამოთქვეს თავიანთი წვლილი შეი-

ტანონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მამულიშვილურ საქმეში. გარდა მოსწავლეთა პარლამენტის წევრებისა (პარლამენტი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოწინავე მოსწავლეებისაგანა დაკომპლექტებული) კმრძო სკოლა "ცოდნას" მოსწავლეებმაც წარმოადგინეს ამ დღისადმი მიძღვნილი შთამბეჭდავი ღონისძიება. დღეს სხვა დროა, არაა აუცილებელი, ომით წართმეული მანცდამინც ომით დაკვირვებით, სახალხო დიპლომატიის, საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა იყოს გარანტი ქართველებისა და აფხაზეთის შერიგებისა, დეინილთა უპირობო დაბრუნებისა, აფხაზეთში ეულად შთენილი კარ-მიდამოებს ახმინებისა, კიდევ ერთხელ დაერწმუნდით ყველაფერ

ტერესო იყო სკოლის "ცოდნა" პედაგოგ თინათინ ზუჭუას გამოსვლა. მოსწავლეთა პარლამენტის წევრების, თამუნა ჯინჭველიშვილისა და სესილი გოგიბერიძის ნაშრომებიც წაიკითხეს აფხაზეთის თემზე და თქვეს, რომ სესილიმ და თამუნამ ვერ მოახერხეს დღეს აქ მოსვლა და ამ კუთხით შემოგვიერთდნენ. უდავოდ მაღლობას იმსახურებენ ღონისძიების მონაწილეები, პედაგოგები ელეო ანკვაბი და ლუიზა მიქაუტაძე, რომელთა ხელმძღვანელობითაც მომზადდა ეს ლამაზი საღამო, საღამო, რომელიც არც დროში ყოფილა გაწეილი და რომელზედაც სრულად ითქვა ჩვენი ერის იმ ტკივილსა და პირშეუკრავი ჭრილობის შესახებ, აფხაზეთის რომ უკავშირდება.

მცხეთობა – სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული

მცხეთობა – სვეტიცხოვლობა იმართებოდა მცხეთის კათედრალურ ტაძარში, დღესასწაული დაწესებულია ტაძარში საკულტო სვეტის (სვეტიცხოველი) და ქრისტეს კვართის სადიდებლად.

ამ დღეს ძველთაგანვე დიდი წირვა იმართებოდა. მრავალი მლოცველი მიდიოდა იქ საკლავითა და შესაწირავით. წირვის შემდეგ მლოცველები ტაძრის გალავანში შლიდნენ სუფრას და იმართებოდა პურობა და არა ღრუობა.

ლეგენდის თანახმად, ქრისტეს კვართი წილად მცხეთელ ებრაელებს ხვდათ, იმ ებრაელებს, ქრისტეს ჯვარცმას რომ ესწრებოდნენ. ლეგენდის ძირითადი იდეა – სვეტიცხოვლის სასწაულმოქმედება წინაქრისტიანული ხანიდან მომდინარეობს.

ახალი სტილით 14 ოქტომბერს (ძველი სტილით 1-ლი ოქტომბერი) აღინიშნება მცხეთობა – სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული, შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში.

ლეონ ბაბინაძე



სამტრედიანში სამი საუკუნის გადაცილებული ქალბატონია

1-ლი ოქტომბერი, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე. სამტრედიანში ტრადიციულად აღინიშნება. "სახლი თანადგომას" სადღესასწაულო ამანათი ჩვენს მუნიციპალიტეტში წელს საუკუნეს გადაბიჯებულ სამ ქალბატონზე მომზადდა.

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის მისალოცად "სახლი თანადგომას" ღირე-ქტორი მშვენიარ ბონუა თავდაპირველად კანდელაკის ქუჩის 8 ნომერში ხელდამშვენებული მივიდა. ქალბატონმა ანა გეგეშიძემ თავად გვითხრა, რომ მას 100 წელი 4 თვის წინ შეუსრულდა.

1-ლი ოქტომბერს იუბილარი გახლდათ ოჯახის მასპინძელი, ანა გეგეშიძის ვაჟი. პროფესიით ექიმმა, საშა გეგეშიძემ "სახლი თანადგომას" ადმინისტრაციას და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მისი დედის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისთვის მადლობა გადაუხადა.

ამავე დღეს ამანათი მიუტანეს "სათნოების სახლის" ბინადარს, 101 წლის ქალბატონს. საზოგადოების ყურადღებით გაბუნდებულმა გალინა ზაქარაძემ გვითხრა, რომ მის სახელზე შექმნილ პროდუქტს "სათნოების სახლის" დანარჩენ ბინადრებსაც გაუნაწილებს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და მერის მოადგილე დავით ბახტაძე 102 წლის ქალბატონისთვის ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის მისალოცად სოფელ გორმალაღში მივიდნენ.

6 შვილის დედას, ქეთო ბუბუტეიშვილს მზრუნველობა არ აკლია. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის იმ დღეს მადლიერებას ქეთო ბუბუტეიშვილის 3 შვილი გამოხატავდა.

ბონი ნახიბაძე

1-ლი ოქტომბეხი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის ინიციატივითა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით რესტორან "ქალაქის გულში" საზეიმო სადილი გაიმართა.



ღონისძიებას ფილიალის წარმომადგენლებთან და ბენეფიციარებთან ერთად ესწრებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი, ბატონი ლევან ახობაძე. ბენეფიციარები ასევე მონაწილე რესტორან "ქალაქის გულში" მეპატრონემ, ბატონმა ბონდო ანჯაფარიძემ. სტუმრები გაესაუბრნენ ხანდაზმულებს, უსურვეს ჯანმრთელობა და მხნეობა.

ხანდაზმულებმა საინტერესოდ გაატარეს დღე: გაიხსენეს საინტერესო ამბები, წაიკითხეს ლექსები, იცეკვეს, იმხიარულეს და მადლიერება გამოხატეს ღონისძიების ორგანიზატორებისადმი.

სწავს სამტრედიის ფილიალი დიდი სიყვარულით ულოცავს ყველა ხანდაზმულს. მათი გამოცდილების გაზიარება ყველასათვის ძალიან მნიშვნელოვანია. საჭიროა, ხელი შევეწყვიტოთ ხანდაზმულთა უფლებების რეალიზებას და უზრუნველყოთ მათი სრულფასოვანი მონაწილეობა ყველა ასაკის ადამიანისთვის უკეთესი საზოგადოების ასაშენებლად. ამისთვის საჭიროა ავირჩიოთ გზა ასაკობრივი თანასწორობისაკენ.

ნათია ბაბინაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით



ღვანულადი პედაგოგები დაჯილდოვდნენ

ნათია ნაცვლიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს ღვაწლმოსილ და ღირსეულ პედაგოგთა ფულადი ჯილდოებით დასაჩუქრების ტრადიციას. 4 ოქტომბერს, პედაგოგთა საერთაშორისო დღეს, წარმატებული პედაგოგების პატივსაცემად სამტრედიის ეროსი მანჯგალამის კულტურის ცენტრში კონცერტი გაიმართა. აქედან შემანინავე ქართული სიმღერები აჩივ ნიჟარაძის შესრულებით.



ღვანულადი პედაგოგები: პირველი საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი ანჟელა ბუაძე (45 წლის პედაგოგიური სტაჟით), მესამე საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი, თამარ კრავიშვილი (46 წლის პედაგოგიური სტაჟით), მელაურის საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი, ლოლა ნიკურაძე, რომელიც წლების განმავლობაში დაწესებულებაში დაწესების პედაგოგი იყო, ასევე, ნოდის საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი, ზეინაბ ბოლქვაძე 52

წლის პედაგოგიური სტაჟით, ნაბაკევის საჯარო სკოლის ყოფილი დაწესებულებაში (56 წლის პედაგოგიური სტაჟით).

მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ მადლობა გადაუხადა დარბაზში მყოფ პედაგოგებს და თავადვე გადასცა მადლობის სიგელები 5 პედაგოგს, რომლებიც მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეკომენდაციით შეირჩნენ.

ანჟელა ბუაძე: "მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიას და საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ასევე დიდი მადლობა პირველი საჯარო სკოლის დირექციას, ჩვენი ეს დაჯილდოება სტიმულია ახალგაზრდა პედაგოგებისათვის, რომლებიც ემსახურებიან ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის საქმეს."

თამარ კრავიშვილი: "დიდი მადლობა სკოლას, ქალბატონ ვენერა ივანიშვილს, მუნიციპალიტეტის მერიას, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, იმისთვის, რომ დაგვავსეს. ეს დიდი სიურპრიზია."

ინგლისური ენა სამტრედიაში რამდენიმე ათეული წლის წინ არ ისწავლებოდა, როგორ შეისწავლეთ ეს ენა?

ჩემი დედა ინგლისურის სპეცია-

ლისტი იყო, ის და ჩემი დედაშვილი ერთმანეთს ინგლისურად ესაუბრებოდნენ აქ რომ ჩამოდიოდნენ, პატარას ეს ძალიან მოეწონდა. მერე დეიამ მასწავლა ინგლისური, 5 თვის განმავლობაში შევისწავლე ისე, რომ უმაღლესი ქულები მივიღე მისაღებ გამოცდაზე. მას შემდეგ მონდობით, თავდაუზოგავად, თავადებით ვმომობ, ვსწავლობდი, ვსწავლობ, კიდევ ვაგრძელებ სწავლას, ეს ჯილდო ჩემთვის დიდი მოტივაცია არის სამომავლო მუშაობისათვის.

ალექსანდრე თევზაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი, პედაგოგი:

"მინდა, პირველ რიგში, მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის მერიას, რომ გადაწყვიტა ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება და ამას სისტემატურად აკეთებს. მიგულოცავ ღვაწლმოსილ პედაგოგებს, ეს, უპირველესად, დიდი სტიმულია ახალგაზრდა პედაგოგებისათვის, საზოგადოებისათვის კი არის მინიშნება, რომ პედაგოგის ღვაწლი არ დაიარება. ჩვენ გვყავს ასევე ბევრი სხვა კარგი მასწავლებელი, რომლებიც იმსახურებენ ჩვენს გამოჩენილ ყურადღებას და მომავალში არც მათი ღვაწლი დარჩება შეუმჩნეველი და დაუფასებელი."



პირველი მენტორი მასწავლებელი სამტრედიაში!

ნათია ნაცვლიძე

ოდასევის შვილის, ტელემაქეს აღმზრდელის სახელი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში საუკეთესო მასწავლებლის შესატყვის ტერმინად აქცია. და აი, სამტრედიის მუნიციპალიტეტს უკვე პირველი მენტორი მასწავლებელი ჰყავს, იგი მეორე საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი ვერაიკა ჯიჯელავაა! ვერაიკა მასწავლებელი გასულ წლის პირველი იყო ჩვენს მუნიციპალიტეტში, ვინც წამყვანის ტიტული მოიპოვა, ის უკვე მენტორი პედაგოგია! არავითარი მენტორული და დამრიგებლური ტონი, ქალბატონი ვერაიკა ძალიან თავმდაბალი, საოცრად უშუალო და უბრალოა.

27 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა ნიჭიერმა ქალბატონმა თავის სკოლაში ამ მაჩაღი პედაგოგიური სტატუსით აღინიშნა. "სამტრედიის მაცნე", ბუნებრივია, კვალში უდვას ყველა სიახლეს, ამდენად, უფრო ახლოს გავაცნობთ ამ ღირსეულ და სათნო ქალბატონს.



იგრძნობა ამ მხრივ პროგრესი. ბოლო რამდენიმე წელია, ამ პროცესში პაის მიაღწია, ვგულისხმობ სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ასევე, სამინისტროს ეგდით საინტერესო ტრენინგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით." – გვეუბნება ქალბატონი ვერაიკა.

მათემატიკა ის საგანია, ყველას რომ არ ესმის და საგანგებო მათემატიკური ნიჭი რომ სჭირდება. როგორ ახერხებს ვერაიკა მასწავლებელი

ბავშვების დაინტერესებას? ამ კითხვაზე გვპასუხობს: "გასულ წლებში იგრძნობოდა მოსწავლეთა ნაკლები დაინტერესება ცოდნით, უკვე ზედაეხ, რომ ადამიანის დაფასება ხდება სწავლის და განათლების დონით. უნდა ვეცადოთ, ბავშვს დავანახოთ მათემატიკის საჭიროება ყოველდღიურ ცხოვრებაში. რისთვის ვსწავლობ? – ამ კითხვაზე ყოველთვის უნდა გვქონდეს პასუხი, ვცდილობ, თითოეული საკითხის და მაგალითისათვის მართი ცხოვრებისეული ანალოგია იქნეს მოძებნილი. ჩემი მოსწავლეების დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა, მათემატიკოსის სპეციალობით გაეგრძელებინა სწავლა, მათ შესაძლებლობები, ბუნებრივია, ჰქონდათ, მაგრამ, მუამყება, რომ ჩემი გავლენაც არის ამაში." ვერაიკა მასწავლებელი სიამაყით აღნიშნავს, რომ მეორე სკოლის პედაგოგებს აქვთ ძალიან მაღალი კომპეტენცია: "ყველა საგანში გვყავს საუკეთესო მასწავლებელი, დირექტორი თუა კარტოზია ძალიან ყურადღებიანია, მასწავლებლებს აძლევს განვითარების საუკეთესო საშუალებას, დროულად გვაწვდის ინფორმაციას ყველა სიახლის შესახებ, ვგულისხმობ სხვადასხვა კონკურსს. ჩვენს სკოლაში ბევრი სასიხარულო სიახლეა: 3 წამყვანი მასწავლებელი გვყავს. აუცილებლად მინდა აღვნიშნო,

ჩემს ამ პროფესიულ წარმატებაში ჩვენი სკოლის პედაგოგებთან დიდი წვლილი მიუძღვის, ვგრძნობ, პირველ რიგში, დირექციის და მერე, ჩემი კოლეგების მუდმივ მხარდაჭერას". წამყვანობიდან მენტორობამდე წარმატებულმა მასწავლებელმა აი, ასეთი გზა გაიარა: "გასულ წელს, სექტემბერში გავხდი წამყვანი მასწავლებელი, პირველი გახლდით ჩვენს მუნიციპალიტეტში, შემდეგ, პროცედურების დაცვით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისათვის უნდა წარმედგინა ჩემს მიერ ჩატარებული გაკვეთილის გეგმები. ჩემს მიერ წარმოებული სკოლის საჭიროების კვლევა და ჩემს მიერვე შექმნილი ონლაინრესურსები. ეს მასალა გადავიგზავნა ელექტრონულად, რამდენიმე თვის შემდეგ კი ოფიციალურად მომენიჭა მენტორი მასწავლებლის სტატუსი." ვერაიკა ჯიჯელავას ორივე შვილი განათლების სფეროსთან ახლო კავშირშია. გიორგიმ, ეკა ბოხუამ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და ქუთაისის მეცხრე სკოლაში მათემატიკას ასწავლის. ვაჟსაც, ჯემალსაც ტექნიკური განათლება აქვს, ამჯერად ერთ-ერთი სკოლის მანდატურია.

თბილისის განვითარება

ჩვენ დღეს ვზეიმობთ სიბრძნეს!

ნიუ ეხოვნული კაცი იყო და საქვეყნო საქმეს ახეთებდა

საუკუნის გადასახვედიდან გუმბირდამდე, დღევანდლამდე და სავარაუდოდ, ხვალამდეც არ შეარჩევს აქტუალობას ის, რასაც დიდი ქართველი წერდა და ქადაგებდა, რითაც ცხოვრობდა და სხვებსაც ცხოვრებასავით ასწავლიდა. ნიუ ეხოლაძე უნდა ვისაუბროთ, როგორც მას უწოდეს, უღმობელი საქმის კაცზე, ვეროპულად მოაზროვნეზე. შორის წაგვიყვანს მის დამსახურებაზე ლაბარაკი, ან რომელი ერთი უნდა ვთქვათ და გავიხსენოთ, ეკონომიკის, საბანკო სისტემის, სოფლის მეურნეობის და კიდევ ვაჭრობისა და მრეწველობის რომელ დარგში. და როგორც ვგვჩვენებ, მოაზროვნე, ალბათ, ყველაზე დიდ-იც, ვეროვნად დაფასებული არ არის საკუთარ ქვეყანაში, მის სწავლებებს გარეთ კი ვაცვილებთ უკეთ იციან მისი დამსახურება და ამ დამსახურების ფასი!

“ნიუოლის” ტრადიცია რამდენიმე წელია დაარსდა და მის მამულში, დიდ ჯიხაშიში. წელსაც აღინიშნა იგი სახალხო დღესასწაულად და მისი ქალიშვილების, რუსუდან ნიუოლის დაბადებიდან 135 წლის იუბილეს და თამარ ნიუოლის ვარდაცვალებიდან 80 წლისთავს მიუძღვნა. ისევე როგორც თავად ნიუ ნიუოლაძე, მთელი მისი ოჯახი სამშობლოს სახელოვანი შვილები გახლდნენ მის წინაშე საკუთარი ღვაწლითა და დამსახურებით.

სკოლის აღსაზრდელების ნახატების. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამით გახლდათ წარმოდგენილი. საღამო ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების შესრულებით საკონცერტო სანახაობამ დაასრულა. მანამდე კი საპატიო სტუმრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სცვლიდნენ ერთმანეთს სცენაზე დიდი მამულიშვილის ღვაწლზე სასაუბროდ.

სამტრედიის მათი ჩამოსვლა დაემთხვა და იაპონიის ქალაქ მიტოიდან ჩამოსული დელეგაცია, რომელმაც საქართველო სამტრედიით გაიცილა, იმ დღეს “ნიუოლის” დღესასწაულს სტუმრობდა.

ნიუთი დატვირთული დღე ნიუოზე საუბრით დასრულდა. და არა



მხოლოდ ნიუოზე საუბრით, საამაყოდ სათქმელი მის შთამომავლებზეც ბევრი ჰქონდათ მკვლევარებს, მეცნიერებს, პროფესორებს, ერთი სიტყვით, მათ, ვინც მაღალი სამთავრობო რეგალიების გარეშე იციან ნიუ ნიუოლის ფასი!

და კიდევ ერთი ფაქტორი, აღნიშვნა რომ აუცილებლად მოუნდებოდა იმ დღის ყველა მონაწილეს – ბოლო წლებში სამტრედიელი მსახიობი რადი შენგელია ნიუოს განასახიერებს “ქუთაისობის” დღესასწაულსა თუ სხვა ღონისძიებებზე. იმ დღესაც ნიუ ნიუოლაძე “გახლდათ” იგი. და ისე როგორც სინამდვილეში, იმ დღეს ნიუოლაძიანთ მამულში ნიუოს სახეში “ჩამჯდარი” ნიუოს “დანახვა” ცოტამ თუ მოახერხა. სადღესასწაულო პროგრამაში იმიტირებული ნიუო საერთოდ არ გახლდათ ჩასმული! იქნებ უმნიშვნელო ფაქტორია, მაგრამ მაინც!

ყველა “ნიუოლის” და საერთოდ, ამ სახლ-მუზეუმის სმირი სტუმრები პროფესორი რამაზ ნამიჭვიშვილი, ნიუ ნიუოლის საზოგადოების პრეზიდენტი. ნიუ ნიუოლაძე



ზე დაწერილი არაერთი შრომის, კვლევისა და წიგნის ავტორი იმ დღესაც აღნიშნავდა, რომ: “ნიუ ნიუოლის გაცნობა ძნელი კი არის, რადგან მასზე წერდნენ და გვასწავლიდნენ, რომ იგი გახლდათ “თერგდალეული”, ილია ჭავჭავაძის თანამოგონა და მეგობარი და და კიდევ ბევრი მსგავსი რამ. ამგვარი ტიტულები მაღალი ცოტაა მისთვის, როგორც საზოგადო მოღვაწისთვის, ინელიგენტისთვის. სხვათა შორის, განმარტება “ინტელიგენტი” ნიუომ შექმნა და დააფუძნა საქართველოში. თავის დროზე ნიუოლაძესაც უწერია და დღესაც იგივე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტელიგენცია, როგორც კლასი, არ არის საქართველოში. დღეს კი შეგვიძლია გავიყო-

“ჩვენ დღეს ვზეიმობთ სიბრძნეს, ჩვენ დღეს ვზეიმობთ მამულის სიყვარულს, ბრძენკაცის, ნიუ ნიუოლის ცხოვრებას ვზეიმობთ და ეს მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისთვის, როგორ უნდა იცხოვროს, როგორ უნდა უყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა გააგონოს მისი ზმა მსოფლიოს!” მან საკუთარი რამდენიმე ახალი ლექსი წაუკითხა საზოგადოებას. ისაუბრა მუზეუმის, ლია ბიბილეიშვილისა და მისი მშობლების დამსახურებაზე ამ სახლ-მუზეუმის დაარსების და შემდგომი ფუნქციონირების საქმეში.

ლია ბიბილეიშვილი უკვე არაერთი წელია ნიუ ნიუოლის სახლ-მუზეუმის დირექტორი გახლავთ. ადამიანი, ვინც დღევანდელ საქართველოში, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად ერთგული და მოამაგა ნიუ ნიუოლის! მუზეუმებთან დაკავშირებული რეფორმის გამო, მას დროებით სტატუსი შეეცვალა, თუმცა ახალი წლიდან იგი კვლავ მუზეუმის დირექტორის თანამდებობას დაუბრუნდება. ამ საკითხზე კულტურ-



ნიუოლაძიანთ ეზოში ხალხმრავლობა იყო. მართალია, გაცილებით მაღალი რანგის სტუმრებს იმსახურებდა აქაურობა, მაგრამ რანგით მაღალ საზოგადოებას ინტელექტით გამოირჩეული სჯობდეს იქნებ! ასეთები კი ნამდვილად მოიხიბებოდნენ აქ, თითო-ორიოლა, თუმცა ისინი, ვინც იცოდა ამ დიდი ქართველის ფასი!

ასწლოვანი ხეების, იშვიათი ჯიშის ნარგავების ჩრდილში, ნიუომ რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოიბანა და საკუთარი ეზო-კარი ოაზისად აქცია, სხვადასხვა გამოფენები მოეწყო: ხალხური რეწვის ნიმუშების, ხელთნაკეთი ნივთების, სამხატვრო

თან გაიყოლა ყვითელი ფოთლავის სავა

84 წლის ასაკში გარდაიცვალა კომპოზიტორი გია ყანჭელი. წავიდა მანქანით და თან გაიყოლა ყვითელი ფოთლების სევა. ჩვენ კი “დაგვიტოვა დიდი ზღვა მუსიკის”. გია ყანჭელი მხოლოდ საქართველოს არ ეკუთვნოდა. მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორის ხსოვნის პატივსაცემად პაგანინი, უძველესი ტაძრის სამრეკლოდან მისივე მელოდები აჟღერდა.

ყანჭელის მრავალფეროვანი შემოქმედება გულგრილს არავის ტოვებს. როგორც ამ დღეებში ბრიტანული “გარდაიანი” წერდა, მის “მუსიკაში გარინდება და სილამაზე ერთმანეთს ერწყმის, რომელიც დროდადრო ფეთქდება და დამანგრეველი ექსპრესიული ეფექტი აქვს”.

გია ყანჭელის რეგალიებზე, როგორც ყველა ამ დღეებში, არც ჩვენ ვისაუბრებთ, რადგან თვით მისი მუსიკა ყველაზე აღმატებული...

წავიდა ლეგენდარული კომპოზიტორი, მაგრამ ის ისევ აქ არის, ყოველდღე ელაშუენება სულს მისი მუსიკა, რომელიც მუდმივად “კვეთდა დროსა და კულტურის საზღვრებს და ის სამუდამოდ გააგრძელებს ცხოვრებას”.

კომპოზიტორი გია ყანჭელი რუსთაველის სახელმწიფო თეატრიდან ტაშით გამოასვენეს. თავისი სურვილისამებრ იგი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

“საპროფესიო მაცნე”



ლი მეგვიდროების სააგენტოს ქუთაისის მუხეუმების მმართველი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუხეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი როლანდ ისაყაძე აუეთებდა განმარტებას: “კულტურის სამინისტრომ ახალი სტრატეგია შეიმუშავა, რაც რეგიონული მუხეუმებისა და სახლ-მუხეუმების გამსხვილებაში გამოიხატება. მუხეუმების ნაწილი გადანაწილდა და შევიდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ეროვნული მუხეუმის შემადგენლობაში. ოდიშიში დადიანების სახლ-მუხეუმი და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუხეუმი ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში შევიდა. მაგალითად, ფოთის ეროვნული კულტურის მუხეუმი, როგორც არქეოლოგიური და მატერიალური კულტურის ძეგლებით მდიდარი მუხეუმი – სახელმწიფო მუხეუმის შემადგენლობაში. რეფორმის მიხედვით ახლა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუხეუმის ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს, როგორც გადაწყვეტილია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბუღალტერია და სხვა მიმართულებები ახალ რეგისტრზე. თანამედროვე მიდგომები განსხვავებულია იმისგან, რაც აქამდე იყო. ქალბატონ ლიას, მუხეუმის ყოფილ დირექტორს ამ წუთისთვის აქვს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მრჩეველის სტატუსი. მე დეკემბრის ბოლოს დავასრულებ ჩემს მოღვაწეობას ამ მუხეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე და შემდეგ მოხდება მისი ახალი წარდგინება ამ თანამდებობაზე, გათვალისწინებით იმისა, რომ ის და მთელი მისი ოჯახი დიდი ამბედარია ამ სახლ-მუხეუმის. ეფი-

ქრობთ, ეს რეფორმა, მოიტანს სიახლეებს მართვის მენეჯმენტში, გაახლებს ტექნიკური ინფრასტრუქტურა. მიუხედავად, რომ სააგენტოში გაერთიანება განვითარების მეტ შანსს მისცემს სახლ-მუხეუმს იმ გაგებით, რომ თუ ამგვარი მართვის პირობებში მოხდება შემოსავლების ზრდა, ხელფასები იქნება არა სტაბილური, არამედ შემოსავლების პროპორციული.”
ამ რეფორმის საუბრობდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე, პროფესორი დავით ლომიტაშვილიც: “ჩვენ ვსწავლობთ იმ პოტენციალს, რაც ამ მუხეუმში დევს და გვინდა გავარკვიოთ, რამდენად შესაძლებელია მისი ახლებური განვითარება. მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ მფისიერად დაიწყო ტექნიკურ-მატერიალური ბაზის მოწესრიგება. დღესაც გადმოეცა საჭირო ტექნიკის ნაწილი მუხეუმს. ის, რომ ამ მუხეუმს დიდი პოტენციალი აქვს, ცალსახაა, მაგრამ სხვა საკითხია, როგორ გამოვიყენებთ მას და საზოგადოებას როგორ მივაწვდით. უნდა გაიზარდოს და სხვა მუხეუმებთან შესაბამისობაში მოვიდეს ძალიან დაბალი სახელფასო განაკვეთი. ჩვენ ცოტადრო გეგმავდით იმისთვის, რომ ამ მუხეუმის პოტენციალი შევისწავლოთ, იქნებ ძველი მენეჯმენტის ხედვები რამდენადმე გადახედული იქნას, მაგრამ არ გვგონია, რომ ძირეული ცვლილებები გახდეს საჭირო.”
საკუთარი სათქმელი სცენიდან მეტალურგიული ქარხნის ყოფილმა დირექტორმა და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუხეუმის დიდმა ქომავმა

გურამ ქაშკაშვილმა თქვა. მაგორიტარმა დეპუტატმა გია მიქელაძემ, რომელსაც არაერთგზის გადაუხადეს იმ დღეს მადლობა ამ სახლ-მუხეუმის გულშემოტკივრობისა და დახმარებისთვის, ჯერ კიდევ იმ წლებიდან, როცა იგი არა პარლამენტარი, არამედ მხოლოდ ბიზნესმენი გახლდათ, აღნიშნა: “ნიკო ნიკოლაძე გახლდათ კაცი-სამშობლო, ადამიანი, რომელმაც ევროპას დაანახა, ვინ იყვნენ ქართველები. მიუხედავად ევროპაში დიდი აღიარებისა, მან, როგორც მისი ქვეყნის პატრიოტმა, ევროპის წამყვანი ქვეყნები არ ამჯობინა საქართველოს, აქ ჩამოვიდა და დარჩა. დღეს ეს პატრიოტული გრძობა განსაკუთრებულად საჭირო და გასაღვივებელია ჩვენი ახალგაზრდობისთვის, რომლებიც ხელალებით ტოვებენ და მიიდან საზღვარგარეთ სასწავლებლად,

თუ იქ საბოლოოდ დასამკვიდრებლად. ნიკო ნიკოლაძე ყველას მოძღვრავდა, რომ ევროპა სათავისოდ, საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებია.”
“ის, რომ ნიკო ნიკოლაძე ჯეროვნად არ არის დაფასებული საქართველოში, თვალმისაცემია და ამას, თუნდაც, ეს დღეც მოწმობს. გული-სტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს აქ სხვა რანგის წარმომადგენლობა უნდა მობრძანებულიყო და ბიზნესმენების ტრიალი უნდა ყოფილიყო ამ ეზოში. ისეთივე ვერ იქნებოდა ქართული ეკონომიკა როგორც არის, რომ არა ნიკო ნიკოლაძე. მის იდეებს რომ მიეყოლოდით, დღეს გაცილებით წინ იქნებოდა ჩვენი ეკონომიკა. იგი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის მოვლენა გახლდათ არა

მხოლოდ საქართველოსთვის, ევროპისთვისაც.” – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიან ფოცხვერიამ და მადლობა გადაუხადა ლია ბიბილეიშვილს, რომ: “თქვენ “ნიკოლის” დღესასწაულის ტრადიციის დამკვიდრებით გაცოცხლეთ ნიკო ნიკოლაძე. მისი ყოველწლიურად გამართვის გარანტი ჩვენ გახლავართ, ადგილობრივი ხელისუფლება. მადლობა თქვენ იმ დედასათვის, ამ მუხეუმის მიმართ რომ მიგიძღვით.”
უკვე კარგად დაბინდებულიყო ნიკოლაძიანი მამულში. დონისძიება დასრულდა და მომავალ “ნიკოლაძე” ან ევროპაში საქართველოს წარმოჩინების, ნიჭიერების, სიბრძნის, განსწავლულობის კვლევ შესწავნება-განსხვავების სურვილის დაბადებამდე ემშვიდობებოდნენ ნიკოს დედასათვის დამფასებელ-შემფასებლები ამ ულამაზეს ეზო-კარს.



იაპოზის დაბრუნება

“შეიძლება თამამად ითქვას, რომ “დედაენის” შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში”.

გრიგოლ აბაშიძე

“ძვირფასო მკითხველო! ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის “დედაენას” ხელში პირველად აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადო, ამ სამზეროს უცებ სხვაგვარად ხომ დაინახავს და დაინახავს, სხვანაირადაც გაიაზრებს, ჰოდა, იმ დღეს რა დაგვაფიქვებს, ამ უპირველესი წიგნის ვდაზე ამოქარგული ბუღბუღის სტვენა როცა ერთბაშად გავიგონეთ და შიშით, აქ არ გავიფრინდესო, ხელი მაშინვე დავაფარეთ. მისი ტკბილი სტვენა-ჭიკჭიკი, ღამით ღამეში გაყიდებული ნაზი ქვითინი ვანა მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?”

დემნა შენგელაია

ასე და ამგვარად, ამ წერილში მოწოდების ეპიგრაფად და შესავლად მოხმობილ-დამოწმებული მწერლების _ გრიგოლ აბაშიძისა და დემნა შენგელაიას ნააზრევნე, ვფიქრობ, ყველა ვთანხმდებით, რამეთუ ცამდე სიმართლეს ბრძანებენ.

არადა, ამ საგანძურის პატრონი ერის შეილებმა, ერთი ჩვენებური გამოთქმისა არ იყოს, უკვანტო საქმე საკვანტოდ გაეხადეთ და, თურამაჟულის პატრონი მართლაცდა უღრანში ვეძებდით მაჟალოს და ამ “ნუგბარიით” “ხელდამშვენებულმა” კარგა ხანი ვიხეტილეთ, უფრო სწორად გვახეტიალეს.

რა თქმა უნდა, სულმნათი დიდი იაკობ გოგებაშვილის სწორუპოვარი საანბანო წიგნის, დედის რძესავით ტკბილი, ნოყიერი და მარგებელი “დედაენის” მშობლიურ წიაღში დაბრუნებაზე ვსაუბრობთ.

ჰოდა, სწორუპოვარი უმაღლესი ეპითეტით რომ შევამე და მოვიხსენიე, კალამი ნამდვილად არ გამეცვია და, აი, რატომ: “1960 წელს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გაიმართა მსოფლიო ენების საანბანო სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი. იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილმა ქართულმა საანბანო სახელმძღვანელო “დედაენამ” პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა”.

ჰოდა, რაკი ჩვენთვის ხელისხელ-საგოგმანები “დედაენის” სასიამოვნო ფაქტების დამოწმება გასული საუკუნით დაიწყო, მიგვივით და დღემდე მოვიდეთ: “1976 წელი _ ი.

გოგებაშვილის “დედაენას” გადაუხადეს 100 წლის იუბილე; 1981 წელი _ თბილისში დაიდგა “დედაენის” ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი); 2011 წელი _ პედაგოგიის დოქტორი, პროფესორი გურამ ხანდაშიძე, თავის კრებულში “ჩემი არასრული მე” (რედაქტორი _ ლევან ჩიქვანაია) წერს, რომ “იაკობმა შეძლო ფაწვილთათვის შეექმნა “ვეფხისტყაოსნის” ბადალი წიგნი. ვინაიდან სულში ეჯდა დედაენა, საწყისი მეცნიერული შემეცნებისა, ყოველი სიკეთისა და ბედნიერებისა”.

ბედის დაცინვა და ირონიაა, რომ იმ წელს განათლების მინისტრად განწესებულმა “კუმანისტმა და დიდმა დიდაქტივოსმა” დიმიტრი შაშინმა “დაიფარა თუ შეიბრალა” ჩვენი ცეროდენები და, “ძველ, ანუ რუსთ ხელმწიფის დროინდელ “ყავლგასულ” მარადმწვანე “დედაენას” გრიფირება მოუხსნა და სკოლიდან გააძევა. კაი “ჩიტიც დაიჭირა”. იქიდან მოყოლებული დღემდის სულ “ლოცვა-კურთხევით” მოიხსენებენ მას მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები.

ასე რომ, ამ ქვეყანაზე ადრე თუ გვიან ყველაფერი სრულდება და 2012 წელს ანტიიაკობისტების მზაკვრობა ძირითადად დასრულდა თუ აღესრულა, როგორც სიზმარი დამისა.

2013 წელს კარგმა კაცმა, მწერალმა და კულტურის მინისტრმა, ბატონ გურამ ოდიშარიამ ჩვენს “დედაენას” მიანიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

2014 წელს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოკლე დროში მოასწრო განათლების აღმავლობის პროცესის სათავესთანაც მდგარიყო და ქართული საანბანო სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განუსაზღვრა. აქვე ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი სტატიისტიკა: “დედისათვის საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭებული აქვს 37 ელემენტს, ამათგან ეროვნული ძეგლის სტატუსი _ ხუთს. ესენია: ქართული პოლიფონია (2011წ.); ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი (2012); “დედაენა” _ საანბანო სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი (2014); ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა (2015); ქართული ჭიდაობა (2017).

ყოველი ზემოთქმულიდან და არ თუ ვერ თქმულიდანაც გამოდინარე, თანამედროვე გამოჩენილ მეცნიერთაგან შემდგარმა კომისიამ (ავადიემიოსები: ავთანდ-

ილ არაბული, მზექალა შანიძე, დავით ლორთქიფანიძე, პროფესორები: ზაზა აბაშიძე, გიორგი ალიბეგაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ლევან თაქთაქიშვილი და იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარე გიორგი გოგოლიშვილი) განაცხადა, რომ კომისიამ გააკეთა ყველაფერი, რაც არ დაარღვევდა იაკობ გოგებაშვილის “დედაენის” უძვირფასესი მემკვიდრეობის ძირითად პრინციპებს და ისე გამოისცა ახალი სახელმძღვანელო.

ჰოდა, ამ დიდებულ ქართველ მამულიშვილთა შეერთებული გონება-გამოცდილებით მომზადებულ და გამოცემულ სახელმძღვანელოს მიანიჭა ეგზომ ნანატრი “გრიფირება” საქართველოს განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა. დიხაჯ, რომ ფრიად მიხარის იმ სასიამოვნო ფაქტის კონსტატაცია, საქართველოს მასწავლებლებისა და პატარა ქართველი ცეროდენების გახარებისათვის, ბოლომდე გაგმარჯვებოდეთ, ბატონო მინისტრო!

ფაქტია და ვერაფრით გვერდს ვერ აუვუვლით, რომ განათლების სისტემაში გამწმენდი ცეცხლის მთავარი გამწვანებელი აქ უკვე გადამდგარი პრემიერ-მინისტრი ბატონი მამუკა ბახტაძეა, რომელიც კაცურად გაისარჯა და, როგორც თავად ბრძანა, მის მთავარ იდეას და მისიას, ზოგადად განათლებაზე და მის მთავარ შემადგენელ კომპონენტებზე _ მასწავლებელსა და მოსწავლეზე ზრუნვა, სახელმწიფოს მხრივ შეუქცევადი გახადა.

ესარგებლობ შემიხვევით და მრავალნადად ახალარჩეულ პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას გულწრფელად ვულოცავ სრულიად დამსახურებულად დიდად საპასუხისმგებლო პოსტზე არჩევა-დამტკიცებას. გამძლეობასა და მხნეობას ვუსურვებ ქვეყნის ერთ ძლიერ მუშტად შეკვრის საღმრთო საქმეში.

პატივცემულო მკითხველო! ყოველივე ზემოთ დამოწმებულ-დაფიქსირებულის შემდეგ ჩემი, ერთი რიგითი ქართველის გულის წადილი და მთავარი სათქმელი ისაა, რაზეც მართლაც საერო, ყოველმხრივ სახლო, პირუთენელი გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” წერს ა/წ 27-28 ივლისის (№ 152, გვ. 6-7) ნომერში: “არ არის სკოლა, არ არის სოფელი! ახალ სასწავლო წელს საქართველოს 109 სკოლას პირველკლასელი არ ეყოლება.” სკოლა პირველკლასელის გარეშე?! და კიდევ: რედაქციის დამატებული ძარღვებში სისხლგამყინავი ინფორმაცია, “საქართველოში 200 ნასოფლარია, სადაც აღარაინც ცხოვრობს. აი, ახლა კი ირკვევა, რომ კიდევ 109 სოფელია სიკვდილის რიგში. ეს ერ-

ოვნული ტრაგედიაა!”

ისმის კითხვა: რა უნდა ვქნათ? ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყანა ვართ. პლურალისტური დემოკრატიის გზა არჩეული და გაკვალიანი აქვს. “ყველაფერში პლურალიზმი მსხვერპლს მოითხოვს... ამიტომ დასაწყისშივე აღვნიშნე, უკვანტო საკვანტოდ გაეხადეთ-მეთქი.

ჰო, ასეა, ნებისმიერი რანგისა და კატეგორიის დაწყებითი კლასების მასწავლებელიც ხომ ჩვენნაირი “მონადელო” ქართველები არიან. ვიცით: “თუ “დედაენით” არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული”.

მაგრამ არიან წიგნიერი, ოღონდ ცივისსხლიანი, მხოლოდ და მხოლოდ ქართული გვარების მატარებელი სუბიექტები, რომლებიც სულმნათ მუხრანსაც არად დაგიდებენ...

ახლა ჩვენს სკოლებში “დედაენის” დაბრუნების წარუვალი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტზე ვსაუბრობთ. ამიტომ სავესებით ბუნებრივი და ლეგიტიმურიც არის ასეთი კითხვა-შეკითხვა: რა სახელწოდების სკოლაში ვაბრუნებთ ჩვენს “დედაენას?” ილიას შეფასებით ხომ: “საერო სკოლა ის მოედანია, სადა ერის გონებამ და გრძობამ პირველი ფეხი უნდა აიდგას. ის გამწვანებელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ხალხს საზრდელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედგამოჭრილია უმეტნაკლებოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზე, მის სულიერ და ხორციელს მოთხოვნილებად”.

წმინდა ილია მართლის ხელდასხმულ-სახელდებული, ყოველმხრივ ზედგამოჭრილი “საერო სკოლა” რომ უნდა ერქვას, უნდა ამას ახლა კომენტარი, ან რაიმე საბუთის მოძიებისთვის ჯახირი და თავისტევა?! წმინდა ილია მართალზე უფრო სანდო ნათლას ვერსად ნახავთ ამ ციხევეშეთში და, გნებავთ, მის მიღმაც! და ამ ყველაფრიდან გამოდინარე, დიდი იმედია, რომ “სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს და, ამჟამადაც მოქმედი, სწორედაც რომ ეგრეთ წოდებული “საჯარო სკოლა”, ადრე თუ გვიან, აუცილებლად და სამარადისოდ “საერო სკოლად” გარდაიქმნება.

დაბოლოს, ჩვენთვის ერთობ საძმურად, უკვე ვიცით, რომ საქართველოს 109 სოფელში დიდი აკობისეული “დედაენა” ვერ შეანათებდა, რა უნდა ვქნათ? თავს ზემოთ ძალა არაა, ამ “საპატიო მიზეზის” მიზეზი ყველამ ვიცით!..

ჰო, თითქოსდა ერთობ და ფრიად ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, როგორც ვამბობთ ხოლმე, ეშმაკს არ სძინავს და ამ გაჭენებული “პლურალისტური დემოკრატიის” პირობებში დაუშვავთ და რომელიმე პირველი კლასის მასწავლებელს და

მის დირექტორს, არა ანგარებით, არამედ იმიტომ, რომ ქართველებით, არამედ იმიტომ, რომ ქართველები ვართ და მოგვარის, მძაყაცის ან დაქალის ხათრმა აცლუნა და, ნამდვილი “დედაენის” ნაცვლად, მისი სუროგატისეულ “წაუცლა” ხელი კი არა, უფრო სწორად გონება... ამისთვის ვერც ერთი დონის და რანგის სახელმწიფო მოხელე-ჩინოვნიცი, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, რომ იტყვიან, ბუხს ვერ აუფრენს... არადა, ეს ყოველად მიუღებელი, მერიდება კი თქმა, მაგრამ გაცხადებულ-აფიშირებული უზნეობა იქნება და თავშივე უნდა აილაგმოს.

დიდი ფრანგი მწერლისა და პედაგოგის ჟან ჟაკ რუსოს მარადმწვანე სიტყვით მინდა, დავამთავრო: “მცდარიც რომ იყოს ჩემი აზრები, თუ ისინი სხვებს კარგ აზრებს გაუღვიძებენ, ტყუილუბრალოდ არ გამიცდენია დრო”.

ილიური (გაშუქი)

ჰანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საპარამუნლოს კულტურისათვის ასოციაციის გამგეობის წევრი

P.S. (მასალა გადმოებეჭდილია გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკიდან”. №189. 24 სექტემბერი, 2019 წელი).

P.S.
ძვირფასო თანაქალაქელებო! აქ და ახლა, როგორ არ გაეხსენოთ შესანიშნავი სამტრედიელი იუმორისტის, სულგანათლებული ოური გეზავას ნამდერი: “ამისთანა არ მოხდება, ჩვენთან სამტრედაში”. მაგრამ კაცნი ვართ და თუნდაც ამიტომ ზემოთ ნათქვამი აქაც უნდა გავიმეოროთ, რამეთუ ეშმაკს არ სძინავს. და თუ ერთმა ვინმე სამტრედიელმა მასწავლებელმა და მისმა დირექტორმა მაინც მიქარა, ასეთი “პედაგოგი” მეტი რომ არ ვთქვათ, ალბათ კი არა, ხელახლა აღსაზრდელი ქართველი და სამტრედიელია. ჰოდა, თავად თუ ვერ მოეგება გონს. მაშინ, ღმერთმანი, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის, რომელსაც მისი სულიერი შვილები ცოცხალ წმინდანად ვრაცხთ, მისი ხელდასმული საგვარეულო კავშირის ცალკეული გვარების გამგეობებმა და მათმა წევრებმა კეთილი ინებონ, თავის გვარიშვილს თავად მოუარონ. უკიდურეს შემთხვევაში კეთილი ვინებოთ, ფინანსურ დანახარჯს ნუ მოვერიდებით და სხვა სპეციალობით გადავამისამართოთ.
სასიამოვნოა, რომ საზოგადოება “სამტრედიელი”, რომლის ერთი წევრიც მე ვარ, ჩემი წერილი-მიმართვის პათოსს იზიარებს.

ვინ ვარ მე? – ია ვაგუას წარმაცების ისტორია

სოციალურ ქსელში, ია ვაგუა-თაფლიშვილის გვერდზე განსხვავებული პოსტები ვაჩნდა. მეგობრებისგან მილოცვები და სურვილები, მომავალშიც ბევრი წარმატება ეწეიმა.

გოგონა, რომელიც სამტრედიისში იმრავლებოდა და მოსწავლეობის პერიოდში გამოირჩეული იყო განსაკუთრებული მონაცემებით, გოგონა, რომელიც პოპულარული გახდა, როგორც საბავშვო-სატელევიზიო გადაცემის წამყვანი, კვლავ ექცევა საზოგადოების ყურადღების ქვეშ. ამჯერად, სამი შეიღობის დედა, გურიის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ისევ ხდება პოპულარული. ნათქვამია, ნიჭი თავს არ დამალავსო და ია ვაგუა-თაფლიშვილის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ცნობილი დიზაინერის, მანია ვაშაყიძის ქალიშვილი, ია ვაგუა-თაფლიშვილი პუბლიკის ყურადღებას იმყრობს. სწორედ ამასწინა ნათქვამია, “ის უჩრკვნია მამულსა”...

ნინო ნახტავაძე

სალამი! მე ვარ ია თაფლიშვილი, დავიბადე 1988 წლის 12 დეკემბერს, ქალაქ სამტრედიისში. ბავშვობიდან ძალიან აქტიური ვიყავი, ძალიან მიყვარდა კითხვა. დავდიოდი უამრავ წრეზე, სადაც ბოლომდე ვიხარავოდი და მაქსიმალურ შედეგს ვიძიებდი.



ეგს ვაღწევდი ხოლმე. ვიყავი ნორჩი ქურნალისტი გახეთ “აბრეშუმის გზაში” და სამტრედიისი მე-11-ე საჯარო სკოლისთან არსებული პრეს-კლუბის – “მომავლის შეიღობის” ხელმძღვანელი. ვწერდი ლექსებს, რომლებსაც ლიტერატურულ საღამოებზე ვკითხულობდი. ვცეკვავდი ქორეოგრაფიულ ანსამბლ “შეგარდენში”, რომელსაც გონა ქარაჩავა ხელმძღვანელობდა. მოვიპოვეთ გრან-პრი სიმღერის კონკურსზე – “ახალი ხმა”, სადაც ჩემს დასთან – მარია ვაგუასთან ერთად შევასრულე რამდენიმე სიმღერა. 1999-2002 წლებში დავდიოდი სამტრედიის ტელევიზიისთან არსებულ სტუდია “ბავშვავაში”, სადაც გიორგი ყურაშვილთან ერთად მიმავდა ერთ-ერთი საბავშვო გადაცემა. 2003-2004 წლებში ვიყავი ფრენბურთის გუნდის წარმატებული თავდამსხმელი, რომელსაც მანანა ტყემელაშვილი ხელმძღვანელობდა. ასევე ანსამბლ “ორუდილას” (ხელმძღვანელი ნინო ჭახნაია) და კვინტეტ “აისის” (ხელმძღვანელი მერი ტკეცივაძე) მომღერალი, რომლის დროსაც, 2007 წელს, ქუთაისში გამართულ არტგენის ფესტივალზე მოვიპოვეთ საგ-

ური ფინალში. ვთამაშობდი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გამართულ მიუნხენლებში მთავარ როლებს. 1999 წელს, ფოთში გამართულ სილამაზის კონკურსზე გახდი “მის ფაზისი 99”. გიტარის დაკვრა შევისწავლე “ლაბორინთის” სოლისტთან, ზურა კალაძესთან. მოგვიანებით, თავად ვასწავლიდი გიტარაზე დაკვრას ციხისფერდის საჯარო სკოლის მოსწავლეებს და ვხელმძღვანელობდი გუნდს. 2017 წელს ჭრაკერვის კურსები წარმატებით გავიარე დიზაინერ მანია ვაშაყიძესთან, მოვიპოვე გრანტი “აწარმოე საქართველოში” პროექტის ფარგლებში და 2018 წელს ქალაქ ოზურგეთში გავესწი პირველი სალონური ტიპის საბავშვო ატელიე. ჩვენი შრომისმოყვარეობითა და ხარისხიანი პროდუქციით სახელი მალევე გაითქვით. ბიზნესის გვერდით პროფილის გვერდზე მქონდა გახსნილი. სწორედ ამ დროს, ჩემმა დიდმა გულშემოტყვივარმა და მეგობარმა ანა მასლოვამ გამომიგზავნა სარეგისტრაციო ლინკი სოციალური მარკეტინგისა და ვებ-პროგრამების ტრენინგში მონაწილეობის მსურველთათვის. ჩავთვალე, რომ ეს ჩემი ბიზნესისა და საკუთარი თავის



შესავსებ ფორმას სტუდიაში ჩარიცხვის მსურველთათვის. ვისწავლე HTML-ში მუშაობა, CSS, ფლაგების ჩაშენება, SEO. ტრენინგების დროს მოწოდებულ მასალებთან ერთად ვეძებდი და ვპოულობდი უამრავ საინტერესო ვიდეო-გაგვიფილს, რომელსაც ჩემი გუნდის წევრებს აქტიურად ვუზიარებდი. ეს გახდა ჩემი უსაყვარლესი საქმიანობა, რომლის კეთების დროსაც ისე ვადიოდა დრო, რომ ვერც კი ვხვდებოდი, როგორ შემომთენებოდა ხოლმე.

დადგა ბედნიერი დღე, როცა ვაგვიგრომ 40 რჩეულ გოგონაში მოვხვდი და მიიხრეს, რომ სტაჟირება უნდა გამეკვლი. უზომოდ გამიხარდა, რომ მოვხვდი დიდი ენების შემსწავლელ ვეებლანზე დიდ ონლაინ-პლატფორმის შემქმნელთა პერსპექტიულ გუნდში, როგორც Lingwing-ია. ისინი ძალიან დამეხმარნენ, რომ საკუთარი შესაძლებლობები 100%-ით გამოვიყენებინა. დედაჩემთან – დიზაინერ მანია ვაშაყიძესთან ერთად შევეკრე ჩვენი ონლაინ-მასწავლებლის, პოლიგლოტი თუთიყუშის, ლინგოს ფორმა, მოვაწვეე პიარ-აქცია, სადაც 3 ცალი 3 თვიანი უფასო კურსი გვათამამე იქ მყოფ ადამიანებზე. ლინგომ ბავშვებთან ერთად იცეკვა და ბოლოს, შევასრულე ლინგოს პიტი, რომლის ტექსტიც თავად დავწერე. ეს იყო საუკეთესო და პოზიტიური დღე. ამით ვეგლავფერი არ დასრულებულა და ჩვენ, ლინგოსთან ერთად, სწავლის დაწყების პირველ დღეს, ციხისფერდის საჯარო სკოლას ვესტუმრეთ. ძალიან გავახარეთ მშობლები და ბავშვები. დასასრულს, ლინგოს პიტიც შევასრულეთ მოსწავლეებთან ერთად. ვაპირებთ, სურარბიში გაგავითოთ და ოზურგეთში არსებული ვეებლას სკოლა მოვიართოთ.

რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა დასასრულს ჩემი სტაჟირების დღეები, მით უფრო მეტად მწველებოდა გული, რადგან ძალიან შევეჩვიე ჩემს ახალ საქმეს, რომლის კეთებაც უზომოდ მიაძიებოდა. ვადგენდი პოსტებსა და მომხმარებელზე მისაწერ მესიჯებს, ვასპოულობდი ზარებს, ასევე smartsupp-ის live ჩატსა და მეილს. მოკლედ, წარმოიდგინეთ, როგორ გა-

ლი გვერდი მქონდა. pictochart-ისა და canva-ს შესახებაც პირველად ამ პროექტში ვაგვიგე. ავაწვეე პოსტები, რომლებიც გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ ვიზუალურად. ყოველდღე მეტი და მეტი ადამიანი ნახულობდა ჩემს გვერდს.

მე კი ლილის რჩევებს ვითვალისწინებდი და დაუხარებლად ვღებდი ფიფაზე ჩემს ნაშრომებსა და ვიდეოებს, თუ როგორ ექმნით პროდუქციას. შედეგად კი მივიღე ის, რომ ჩემი მომხმარებლების რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა. გვირეკავენ და გვიყვებიან არამარტო საქართველოს რეგიონებიდან, შეკვეთებს ვიღებთ და ფოსტის საშუალებით ვაგზავნით საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ემიგრანტებთან.

პროექტის ფარგლებში მომივიდა ახალი ბიზნეს-პროექტის იდეა, რომელიც 1 თვეში განვახორციელებ და ვაგზავნი სამოდელო სტუდია, შევქმნი მორე ფიფა-იც და ჩავატარებ მესამე წარმატებული ჩვენება, რის შემდეგაც თბილისში მიგვიწვიეს.

პროექტის ფარგლებში ავაწვეე wordpress-ის ვებ-საიტი ჩემი ბიზნესისათვის, სადაც აქტიურად ვათავსებდი სხვადასხვა ინფორმაციას, თუ განცხადებებს



მიხარდებოდა, როცა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა – ბატონმა ვატო ველიაშვილმა მიიხრა, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდებოდა და მე ოფიციალურად გავეხდი ამ დიდი და კრეატიული ოჯახის წევრი. ეს ჩემი მორე დიდი გამარჯვება იყო.

მესამე დიდი სიხარული, სტაჟირების



დასრულების შემდეგ, ქუალათა რაიონის მიხედვით გამოქვეყნებული სიის შედეგად განვიცადე. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ამაგი და ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემი სახელი სიის თავში ამოვიციხეთ.

მოკლედ, დიდი მოტივაციით და ამაღლებული განწყობით ვაგეშურეთ თბილისისაკენ, სადაც გასაუბრების შედეგად, სამიტზე წამსვლელი გოგონების ოთხეული უნდა შეერჩიათ. გასაუბრებიდან გამოსული დიდი მოთმინებით ველოდი შედეგებს, თუმცა, რა შედეგებიც არ უნდა დადებულყოფ, მე უზომოდ მაღლიერი ვიყავი, ვარ და ვიქნებოდი პროექტის, რომელმაც ჩემი ცხოვრება 100%-ით უკეთესობისაკენ შეცვალა. მე, რომელმაც მხოლოდ excel-ი, word-ი და powervr point-ი ვიცოდი და ყოველთვის მინდოდა, მეტი გამეგო და შესწავლა ტექნოლოგიური მიმართულებებით, დღეს wordpress-ის საიტებს ვაწვობ და საუკეთესო კომპანიის საიტის და ფიფის ადმინი ვარ.

ჩემი მახარობელი ისევ ჩემი უსაყვარლესი ტრენერი, ხათუნა რუსეიშვილი იყო და როცა მიიხრა, რომ მე წარმატებით ვაგვიარე გასაუბრება და მივემგზავრები ლისაბონში, ეს იყო სრული შოგი. სიტყვებით ვერ გადმოცეკვით იმ ემოციას, რაც მამინ განვიცადე. თან ეტიროდი, თან ვიცინოდი. არ მჯეროდა, რომ ეს ჩემს თავს ხდებოდა.

უზომო ბედნიერებისა და მაღლიერების გრძობა დამეფულა. ვებ-საიტზე წავსვლა არის დიდი გამოცდილება და შესაძლებლობა იმისა, რომ ვუთხრა ადამი-

ნებს, როგორ შეიძლება მიადლო მონანს თავდაუზოგავი შრომით და იმ საქმისადმი სიყვარულით, რასაც აკეთებ მამინ, როცა არ გაქვს უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი. იღბალიც დიდ როლს თამაშობს, რომლის კოდსაც თავად ვღებთ საკუთარ თავში და ეს ცალკე თემაა.

მინდა მოტივაცია ავუმადლო და თავდაჯერებულობა შევმატო ჩემისთანა გოგონებს, რომელთაც ხელი აქვთ ჩაქნეული თავიანი სურვილებსა და ოცნებებზე. რომ სწავლა არასდროს არის გვიან. რომ, რაც ძლიერ გსურს და მთელი მონდობით იბრძვი მონანის მისაღწევად, რეალობად აქცევე.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, მინდა, გითხრა, რომ არ ვნერვდები და მიველი ცხოვრება ვაპირებ ჩემი ცოდნის გადრმავებას და დახვეწას. ვაპირებ, შევისწავლო ანდროიდის პროგრამირება და app-ების შექმნა ანდროიდისათვის. ასევე ძალიან მიყვარს უცხო ენები, ესაუბრობ 3 ენაზე – ინგლისურად, რუსულად და ბერძნულად. ვაპირებ, შევისწავლო ესპანური და იტალიური.

ძალიან მალე ქალაქ ოზურგეთში ვაგვხვნით Lingwing – პირველ უცხო ენების შემსწავლელ ცენტრს, სადაც ადამიანები, ასაკის შეუსწავლად, შეისწავლიან უცხო ენებს თანამედროვე, საინტერესო და ინოვაციური მეთოდებით.

დიდი ხნით არ გემშვიდობებოდა, რადგან ჩემი წარმატების ისტორიას მალ-მალე შევამატებ ახალი თავები და ვფიქრობ, ჩემი გამოცდილების ასეთი ფორმით გაზიარება, ძალიან დავეხმარება თქვენი ცხოვრების გაუმჯობესებაში.

უღრმესი მადლობა ინოვაციური განათლების ფონდის დირექტორს, ბატონ მერაბ ლაბაძეს თავისი არაჩვეულებრივად ყურადღებანი და პროფესიონალი გუნდით. ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტისათვის, რომელმაც ჩემს თავში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის და განვითარების შესანიშნავი განსაკუთრებული მადლობა ჩემს მეუღლეს და ოჯახს გვერდით დგომისთვის და გამხნეებისთვის, მთელი ტრენინგის მანძილზე თქვენს გარეშე ამას ვერ შევძლებდი.

ია ვაგუა-თაფლიშვილი

ლეონ ბაბინაძე

ამოუცნობი და ბოლომდე საფუძვლიანად შეუსწავლელია სამყარო. ვრცელია ადამიანთა ფანტაზია, დაუოკებელია მისწრაფებები, მრავალფეროვანია მათი სურვილი. ვის გალაქტიკა და ციური სხეულები აინტერესებს, ვის კიდევ თვალუწვდენელი ზღვები და ოკეანეები უხმობს.

ის, ვის შესახებაც ამჯერად ვწერთ, ეს ესაა გახდა პირველკურსელი, საოცრად მოკრძალებულია, თავზიანი, სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, ბავშვი, ახალგაზრდა ხომ სარკეა ოჯახის.

დავით მამასახლისი ჯერ კიდევ მამის გავიანთ, როცა იგი ფოლკ-როკ ჯგუფში "ლადი" ბას-გიტარასა და ფანდურზე უკრავდა და მისი წვლილი შექმნიდა იმ თავბრუდამხვევ წარმატებებში, დროის მცირე მონაკვეთში ანსამბლმა რომ მოიპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის წამყვან სახელმწიფოებში.

დავითს ჯერ კიდევ ბავშვობიდან ეხერხებოდა და აინტერესებდა ელექტრომომწიფობილობების შეკეთება, არათუ აინტერესებდა, გამოსდიოდა კიდევ. ყველაფერში კი ოჯახი, განსაკუთრებით მამა, ჩვენი რედაქციის თანამშრომელი, მიმა მამასახლისი უწყობდა ხელს და ანებიერებდა.

ტოლების საჯარო სკოლის პარალელურად ტოლების სამუსიკო სკოლაშიც სწავლობდა. მისი მუსიკალუ-



ინტეჩვი სმეცითზე, ვიძიე გემი ლუხას ჩაუშვებს

რი ნიჭის გაფურჩქნაში კი დედას, ცისანა გოგიატაძეს მიუძღვის დიდი წვლილი... მერე მისი უფროსი ძმა მურმან მამასახლისი მეზღვაური გახდა, იგი ამჟამად საერთაშორისო წყლებში ცურავს. ყველაფერმა ამან დავითს ერთობ ორიენტირებული და იშვიათი გაღაწვეტილება მიაღებინა, მასაც ზღვა-სთან, ზღვაოსნობასთან დაეკავშირებია ცხოვრება.

გადაწყვიტა და საწადელიც აიხდინა, იგი წელს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის გემის მექანიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. თავდაპირველად იუარა, თუმცა ასაკობრივი სუბორდინაცია დაიცვა და აღრიანი შემოდგომის ერთ საღამოს მასთან საუბარი შედგა.

არაფრით განსხვავდება თანატოლებისაგან ჩვენი რესპონდენტი, პატ-

ივს სცემს ქართულ ეროვნულ ფოლკლორს, თუმცა გულგრილი არც ჯაზისადმი, მუსიკა ხელთნებააო, გვითხრა და სამადლობელი არ დაიშურა ტოლების სამუსიკო სკოლის პედაგოგებისა და ამ სკოლის ყოფილი დირექტორის, აწ განსვენებული იური შანიძის მისამართით. სასიამოვნოა, როცა ამავს უფასებს მოსწავლე მასწავლებელს, სკოლას.

განსაკუთრებული სამადლობელი კი ტოლების საჯარო სკოლისა და მისი დირექტორის, მარინა ხუჭუას მისამართით თქვა, იმ გარჯისათვის, რასაც სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ეწევა მომავალი თაობის სრულქმნილ მოქალაქეებად, სამშობლოს ჭეშმარიტ პატრიოტებად აღზრდის საქმეში. ბევრი რამ კარგი მისაგზავნა ჩემმა სკოლამ და საფუძველიც მოცაო, - გვ-



რის ცოლობას, შეილობას, მშობლობას... გვითხრა კიდევ დათოს მამამ, როცა ვკითხე, როგორ შეხვდი შვილის გადაწყვეტილებას-თქო, ცოტა დარდით და დიდი სიამაყით.

ს უმრობა როდია, ვეებერთელა გემში წყალქვეშ, ე.წ. პირველ სართულზე იმყოფებოდე და უხუსტესი თანამედროვე

ითხრა გულწრფელად დათომ.

დროს რაციონალურად ანაწილებს, ახერხებს ილიასა და აკაკის, ქართველ კლასიკოსთა მარგალიტებითაც დატკბეს, შეიმეცნოს მათგან ნაშუქი სიბრძნე, მეგობრებთან ფეხბურთიც თამაშოს, მუსიკითაც დაკავდეს და საქმეებშიც მიეშველოს ოჯახს.

ჯერჯერობით შეყვარებული არ ვარო, გვითხრა და სურვილიც გაგვიმხილა: საკუთარი გემი მინდა მქონდესო.

აი, ეს არის სულ რაც ახალგაზრდა რესპონდენტზე ამჯერად შეიძლება ითქვას. და კიდევ, უდავოა, ვაჟკაცურია დათოს გადაწყვეტილება, რამეთუ მეზღვაურის პროფესია საოცარ გამბედაობას, გამძლეობას, მოთმინებას, სიმძლეულებთან პირდაპირ შერყინებას მოითხოვს.

ოჯახიც უნდა შეეგუოს მეზღვაუ-

სანავიგაციო სისტემის ანი და ჰოე ისე შეისწავლო, რომ უზრუნველყო ასობით და ათასობით მეზავრის უსაფრთხო მგზავრობა ათასობით ტონა ტვირთის დანიშნულებისამებრ მიტანა.

გემის მექანიკურ, სამსახურის ნებართვის გარეშე ხომ ეკიპაჟი და კაპიტანი ადგილიდან არ (ვერ) დაძრავენ, ვეებერთელა ხომადღეს.

ამჯერად სტუდენტობას უკლოცავთ დავით მამასახლისის, კარგ სწავლას, პროფესიისადმი ერთგულებას ეუსურვებთ და ვიმედოვნებთ, "სამტრედიის მაცნე" არაერთხელ აცნობს მრავალრიცხოვან მეთხველს დათოს კარიერულ და პროფესიულ წინსვლას, წარმატებების თაობაზე.

გაკადნიერდები და დათოს კუთვნილი გემიდან, არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ექსკლუზიური ინტერვიუს უფლებას დავიტოვებ.

არა კალაღობას! რეალობა მოლოდინს გადააჭარბა

ლეონ ბაბინაძე

კიდევ ერთ საინტერესო ღონისძიებაზე აღმოვჩნდით 8 ოქტომბერს, ამჯერად სამხატვრო სკოლაში. ბავშვები საქმიანად ფუსფუსებდნენ და ღონისძიებისთვის ემზადებოდნენ. მათთან ერთად, რაღა თქმა უნდა, სამხატვრო სკოლის პედაგოგები და საკრებულოს მთავარი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში ქალბატონი თამილა კეკელიძე იმყოფებოდნენ. შევიტყვევთ, რომ ღონისძიება ბულინგის თემას ეძღვნებოდა.

ღონისძიება გახსნა, შეკრებილთ მიესალმა და დარბაზში მყოფთ საინტერესოდ ესაუბრა ქალბატონი თამილა კეკელიძე. მის ყოველ სიტყვაში საოცრად ხილვადი იყო იურისტისა და პედაგოგის პროფესიათა სინთეზი. როგორ გესმით გენდერული თანასწორობა? რა არის დისკრიმინაცია? ბულინგი და ბულინგის შემთხვევ-



ბი? აი, ნაწილი კითხვებისა, რომლითაც მან სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს მიმართა და რომლებზედაც ამომწურავი პასუხები მიიღო.

აუცილებელია ითქვას სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა იმ ხედაზზე, თავისებურად რომ აღიქვეს და ნახატებით წარმოადგინეს ჩვენს წინაშე მათი დამოუკიდებელი დისკრიმინაციის, გენდერული უთანასწორობისა და ბულინგის, საერთოდ, ძალადობის წინააღმდეგ. ქალთა უფლებების დარღვევა, ცხოველებზე ძალადობა, ვანდალური დამოუკიდებელი მცენარეებისადმი. ერთი სიტყვით, ყველაფერი თემატურად, მიზნობრივად იყო გააზრებული და წარმოდგენილი, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი სამხატვრო სკოლის (დირექტორი ქალბატონი ნინო ნინუა) და პედაგოგიური კოლექტივისა.

ღონისძიება სულ რაღაც ერთ აკადემიურ საათს მიმდინარეობდა, თუმცა ამომწურავად ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომლებიც ესოდენ აწუხებს ჩვენს საზოგადოებას და არა მარტო აწუხებს, პრობლემატა პრობლემატად რომ იქცა.

ბოლოს ღონისძიების წამყვანის, ქალბატონი თამილა კეკელიძის ინიციატივით ყველა ჩვენგანმა ნატურის ხეზე საკუთარი სურვილები დავაამარეთ, ერთი საერთო აზრი იკითხებოდა ყველა მათგანში: უარი ძალადობას! არა დისკრიმინაციას! არა ბულინგი!



იხეიოს სიყვარულმა!

საოცრად კმაყოფილებმა დატოვეთ სამხატვრო სკოლა და გონებაში ერთი აზრი დღემდე ხშიანობს, სასურველია ღონისძიება უფრო ფართო მასშტაბით, ფართო აუდიტორიისათვის ჩატარდეს და მასში მონაწილეობას საჯარო სკოლების პედაგოგებმა, მოსწავლეებმა წვევრებმა მიიღონ.

ყონად, სამხატვრო სკოლის აღსაზრდელებს, მათ პედაგოგებს, მადლობა ქალბატონ თამილა კეკელიძეს!

იუბილე იდღეგრძელებთ!

იუბილარია ამ დღეებში ღირსეული სამტრედიელი, ქართული უმაღლესი სკოლის ამგდარი, რამდენიმე წიგნისა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი ვაჟა თვალაყაძე.

1974-1990 წლებში ის ლექციებს კითხოვლობდა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში, ხოლო 1990 წელს არჩეულ იქნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტის, შემდეგ კი პროფესორის თანამდებობაზე.


წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი და საქმიანი კონტაქტები პროფესორს მშობლიურ სამტრედიასთან. ამ ქალაქის დაარსების 130-ე წლისთავს უძღვნა საინტერესო წიგნი "სამტრედა 1870-1914 წ.წ.", რომელიც მკითხველთა ფართო მასებს დიდ სამსახურს უწევს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, აბიტურიენტებსა და სტუდენტებს.

გულწრფელად გვახარებს ის ფაქტი, რომ ბატონი ვაჟა ჩვენი გაზეთის აქტიური მეთხველი და რედაქციის თითოეული წევრისათვის პატივსაცემი პიროვნება, სასურველი სტუმარია.

ჭრამაგი პროფესორი დღესაც აქტიურ მოღვაწეობას ეწევა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სამეცნიერო სფეროსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ ვაჟას, წელთა სიმრავლესა და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ მას!

ლეონ ბაბინაძე



პიიგრანტის ზიარაპი

სყლის სიმშვიდის საღამო



ასე დაერქვა 28 სექტემბერს საქველმოქმედო ღონისძიებას, რომელიც გაიმართა სტამბულში ძველ კონსტანტინეპოლში. ამ ღონისძიების მიზანი იყო პატარა, 4 წლის ნიკოლოზ ბერაძის დახმარება.

დიდი ბედნიერებაა, როდესაც მეტად რთულ დროში, პირადი პრობლემების მოზღვაების ხანაში მაინც არიან ადამიანები, რომლებსაც სხვისი ტკივილის გათავისება – თანადგომის, დახმარების სურვილი უჩნდებათ, სწორედ ასეთი გულისხმიერი ემიგრანტების იმედით ვსაზრდობთ.

საქართველოდან საპატიო (ქველმოქმედი) სტუმრები გვესტუმრენ: მამა პეტრე კოლხი, ორგანიზაციის “მძიმე ჯვარი” დამფუძნებელი ზურა ორმოცაძე, ბესარიონ ჩანქსელიანი, ირაკლი ახალაია.

საღამოთი ძალიან გავიხარეთ. შევივრებთ ნაცნობ-უცნობებს. ემოციური იყო, მამა პეტრესთან შეხვედრა, გადავიდეთ სამახსოვრო სურათები. ღონისძიების დასაწყისში, გამოვიდნენ სიტყვით გამომსვლელები, შემდეგ სიტყვა გადაეცა მამა პეტრეს, დაგვლოცა, გაგვამხნევა, თავისი საკუთარი ლექსები წაგვიკითხა, გაეხსენეთ აფხაზეთის დაკარგვის 26 წელი. იყო ემოცია, ცრემლი, სიბო, სიხარული. მთელი საღამო სიუპრ-ინებით იყო აღსავსე. დარბაზში სიყვითის ზეიმი იდგა. სიყვითის კეთებას, მართლაც რომ დიდი ძალისხმევა სჭირდება, შენი სიყვითე სხვებსაც სიყვითისკენ უბიძგებს. შედგა ეს საღამოც, დავეხმარეთ ნიკოლოზს. ასეთ დროს ყველა გაღებულ, მცირედიც კი, მნიშვნელოვანია.

ვისურვებდი, რომ ქველმოქმედება ჩვენს საზოგადოებაში მოდური და პრესტიჟული გახდეს და მისკენ ისე ისწრაფოდნენ, როგორც სამთავრობო სკამებისაკენ.

დასასრულს მამამო საქართველოში მშვიდობით დაბრუნება გვისურვა, სულიერად გაგვამხნევა, მომავლის იმედით დაგვლოცა.

“ყველაფერს ნუდარ მიიტან გულთან, არ გამოელდება ასე იარა, ბოროტშიც კეთილს ხედავდე უნდა, კეთილში ამდენ ბოროტს კი არა”.
მამა პეტრეს ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევდა მთელ საღამოს.

ნატალია კონისკო



სამტრედიელებმა გაიმარჯვეს

წლებია, ტრადიციად დაქვედრდა ცნობილი სამტრედიელი ხელბურთელების, **ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ჩატარება.

საქართველოს 6 მუნიციპალიტეტისა და უკრაინის ქალაქ მელიტოპოლის გუნდები მონაწილეობდნენ ამ დღეებში ჩატარებულ ტურნირში, რომელიც რიგით მე-13 გახლდათ.

ფინალი სამტრედიისა და მელიტოპოლის გუნდებს შორის გაიმართა და სამტრედიელთა გამარჯვებით 28:19 დასრულდა.

ტურნირის ფინალურ ნაწილს საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიმიგური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფულადი ჯილდოთი და სამახსოვრო საჩუქრებით აღინიშნა საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების გარჯა.

ლევან ბაქრაძე



ჩემპიონატი დაიწყო

ამომავალი მზის ქვეყანაში – იაპონიაში 20 სექტემბერს სახეიმი ვითარებაში გაიხსნა და სტარტი აიღო მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატმა რაგბიში. მასში მონაწილეობის მისაღებად ჩაება პლანეტის 20 რჩეული ნაკრები. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მონაწილეობას ღებულობს საქართველოსა და რუსეთის ეროვნული გუნდები.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი) ზედხედ მეზუთედ მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატში.

ჩემპიონატი 2 ნოემბრამდე გასტანს.

ირინა ნიკოლეიშვილი

ირა, ჯონდი, ლევან გაბეჩავები თანაუგრძნობენ მარინა, დათო, ირაკლი კრავეიშვილებს მეუღლისა და მამის

ქალაქის პრეზიდენტის

გარდაცვალების გამო.

ირა, ჯონდი, ლევან გაბეჩავები თანაუგრძნობენ გაია და ლელა თევზაძეებს სიძის, მიშკო და მარის ბიძის

ქალაქის პრეზიდენტის

გარდაცვალების გამო.

ელგუჯა, ირმა, ნინო გაბეჩავები თანაუგრძნობენ თევზაძეებისა და კრავეიშვილების ოჯახს

ქალაქის პრეზიდენტის

გარდაცვალების გამო.

ავთანდილ კაშია ოჯახით თანაუგრძნობს რამაზ კაშიას ოჯახს, ძმის

პასიპოს

უღროდ გარდაცვალების გამო.

ბაშის საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივი თანაუგრძნობს ბატონ რამაზ კაშიას ძმის

პასიპოს

გარდაცვალების გამო.

სოფელ ბაშის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ რამაზ კაშიას, ძმის

პასიპოს

გარდაცვალების გამო.



არაბიძე პირველია

ამ სათაურით გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" სასიხარულო ამბავს ამცნობს მკითხველს. გასაგები მიზეზების გამო ყოველდღე ორმაგად სასიამოვნოა ჭადრაკის მოყვარულთათვის, მერი არაბიძის მშობლიური სამტრედიისა და იმ გაზეთის მკითხველისათვის, არაერთხელ რომ დაუწერია მერის მიღწევებზე.

ამ დღეებში თელავში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, საქართველოს ნაკრების წევრების, ლელა ჯავახიშვილისა და ბელა ხოტუნაშვილის სახელობის თასის გათამაშება. ოთხი ქვეყნის ათი წარმომადგენელი მონაწილეობდა სამდღიან შეჯიბრში, რომელიც წრიული სისტემით მიმდინარეობდა.

9 შესაძლებლობიდან 7 ქულით ყველას მერი არაბიძე აჯობა. მან 5 პარტია მოიგო და 4-ში კონკურენტებს დაუზავდა.

გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ ნანა ძაგნიძე და ლელა ჯავახიშვილი, რომლებმაც შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტუნაშვილი, ანა მათნაძე (ესპანეთი), ელზაბეთ პეტცი (გერმანია), სალომე მელია, ქეთი წაწალაშვილი, ნინო მაისურაძე (საფრანგეთი).

"სამტრედიის მაგნი" მრავალრიცხოვან მკითხველთა, ჭადრაკის სამტრედიელ გულშემატკივართა სახელით კიდევ ერთ გამარჯვებას ულოცავს მერის და ახალ წარმატებებს უსურვებს მომავალ ასპარეზობებში!

ლევან ბაბუჩავა



მხოლოდ ერთხელ ვლევე ყბაში, არ მაცალეს დარტყმა მეტი, ნოკაუტში ჩავარდნილმა მიგვიტოვა პარლამენტი.

მეორფასო სამტრედიელებო! სიამოვნებით გაცნობებთ, რომ სამტრედილაში გაიხსნა დავით ჯოჯუას საჭადრაკო სკოლა, სადაც 14 ოქტომბერს 1-ლ საათზე გიწვევთ შეხვედრა-სემინარზე საერთაშორისო დიდოსტატ, ფილეს სენიორ მწვრთნელ დავით ჯოჯუასთან ჭადრაკის მოყვარულ პატარებს. მსურველები დაგვიკავშირდით ნომერზე: 577 50 96 50. მისამართი: ნინოშვილის ქ. №43. რეგისტრაცია მიმდინარეობს 14 ოქტომბრამდე.



საერთაშორისო ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში

2019 წლის 28-29-30 სექტემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა ღია საერთაშორისო ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში "კავკასიის თასი - ბათუმი 2019". მასში მონაწილეობდნენ საბერძნეთის, სასომხეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლიეტუას, უკრაინისა და საქართველოს. კონტაქტური კარატეს ეროვნული ფედერაციის ნაკრების წევრები. მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია) წარმომადგენლები, მარიამ გოგიტაური, მანანა მუქერია და მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია.

ჩემპიონატი ჩატარდა როგორც გუნდურ ასევე პირად შეჯიბრში. კარგად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც დაიკავა გუნდური პირველი ადგილი, გახდა კავკასიის ჩემპიონი და გადაეცა "კავკასიის თასი". პირად პირველობაში წარმატებით იასპარეზა ქალთა შორის სამტრედიელმა მარიამ გოგიტაურმა, რომელიც ყველა მოწინააღმდეგეზე წონით 11 კილოგრამით ნაკლები იყო. მან დამსახურებულად დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, რომელსაც გადაეცა თასი, მედალი და დიპლომი.

კარგი ორთაბრძოლების ჩატარებისათვის მარიამ გოგიტაურმა საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელ ბატონ ირაკლი დოლაბერიძისაგან მადლობა დაიმსახურა.

სამომავლოდ, სრული დაფინანსების შემთხვევაში, სამტრედიელი კარატისტები, 2020 წელს მონაწილეობას მიიღებენ იაპონიაში, ესპანეთში, ბელგიაში და უნგრეთში მსოფლიო, ევროპისა და საერთაშორისო ჩემპიონატებში.

უსურვებთ სამტრედიელ კარატისტებს წარმატებას!

სენსეი მიხეილ კანთარია

გაღლობა!

გესურს მადლობა გადაუხადოთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის, მე-9 უბნის მცხოვრებ ბატონ მალხაზ ბაგბანოვს, რომელმაც გულთან მიიტანა მე-9 უბანში მდებარე სკოლის გასაჭირი.

კერძოდ, აგვისტოში ძლიერმა ქარმა დაზიანა დაახლოებით 70 მეტრი ელ-სადენი, რომლითაც მიეწოდებოდა სკოლის შენობას ელ-ენერგია. სკოლა საკუთარი სახსრებით ვერ შეძლებდა ამ ელ-სადენის შექმნას.

ბატონმა მალხაზმა დახმარება, სთხოვა აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების, გარე განათების ქსელის მომსახურების განყოფილების უფროსს ბატონ ალექს კლარჯიშვილს, მანაც გულთან მიიტანა სკოლის გასაჭირი და მეორე დღესვე აღუდგინა სკოლას ელექტროენერგიის მიწოდება. ამ მადლიანი საქმისათვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბატონ ალექსს. მან სკოლა გადაარჩინა "ჭრაქით" განათებას.

აქვე გვინდა დავხსინოთ, რომ ბატონმა მალხაზმა საკუთარი სახსრებით მოაწესრიგა სკოლის ეზოს ბალახიანი საფარი და შეაკეთა წყლის მიღები. ამ კეთილი საქმეებისათვის კიდევ ერთხელ უხდის მადლობას სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ბატონ მალხაზს და ბატონ ალექსს.

განთავსებულია სკოლის საზღვარში

სსიპ საზღვარში მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის საჯარო სკოლა

ანა სანამუს!

დაბადების დღეს გილოცავთ ძალიან სასახელო და მონატრებულ გოგოს. ბედნიერება, სიუხვე და სიყვარული დაგებდოს. უფალი მფარველობდეს შენს ყველა ნაბიჯს. გვემადებები და გვიყვარხარ!

"საზღვარშიის გენი"



სიზნღუ საფორმული

იაკონური მაღალი ხარისხის საავტომოვილო ზეთი.

იაკონური იაკონილას იაკონილას.

ტელ.: 598 788 328.



რედაქციის მისამართი: სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6
 ტელ: 599 02 41 11

მაგნი

საზღვარშიის

დირექტორი	ბაშან გოგიანი
მთავარი რედაქტორი	ქვიციანი თეიმურაზ
გამომწვევი რედაქტორი	თეა ბაგბანოვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან ბაბუჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მამა პაპაშვილი